ჩვენი გზა

№ 8

თფილისი

1907

ხუთშაბათი, 13 სექტემბერი

ცალკე ნომერი 5 კაპ.

გაზეთ „ჩვენი გზა“-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „ჩვენი გზა“-ს რედაქციაში [illegible] ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება. ინახება ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე. დილის 12 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე, კვირა-უქმეებით—დილის 11-დან 12 საათამდე.

ადრესი: Тифлис, контора редакции „Чвени Гза“, Великокняжеская № 35.

№ 8 ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 8

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ჩვენი გზა

გამოდის თფილისში 1907 წლის 2 სექტემბრიდან.

გაზეთის ფასი: ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მან., ერთი თვით ქალაქ გარეთ 90 კაპეიკი.

დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები სუფთათ უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ერთი თვით ინახება მხოლოდ ვრცელი წერილები. წერილობითი ცნობებისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადათ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. კვირა-უქმეობით დილის 11 დან 12 საათამდე.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტ. პეტიტით 15 კ., მეოთხეზე 10 კაპ.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, контора редакціи „Чвени Гза“, Великокняжеская № 35.**

გაზეთ „ჩვენი გზა“-ს რედაქციის კანტორა დაბეჯითებით სთხოვს, როგორც აგენტების, ისე სხვათა საყურადღებოთ, რომ ფული უსათუოდ შემდეგ ადრესზე უნდა გამოიგზავნოს: Тифлисъ, типографія „Сорапань“ **НЕСТОРУ КИШВАРДІЕВИЧУ ЦИНЦАДЗЕ.**

ნატალია ექვთიმეს ასული მამაცევისა შვილებითურთ, ზაალ, ეფემია, გიორგი, იოსებ და ალექსანდრე მამაცევები და მარიამ ივანეს ასული ფალავანდოვისა, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 11 სექტემბერს გარდაიცვალა მეუღლე და მამა პირველთა, ხოლო უკანასკნელთა ახლო ნათესავი

გრიგოლ ისააკის ძე მამაცევი.

პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 5 საათზე. მიცვალებულს გამოასვენებენ 14 სექტემბერს, დილის 9 საათზე, დიდუბის ეკლესიაში, თავის ბინიდან, პავლოვის ქუჩა, № 3, დაკრძალვა მოხდება კუკიის სასაფლაოზე.

თავ. ფარსადან გიორგის ძე, გიორგი და კონსტანტინე ფარსადანის ძენი მიქელაძეები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველის მეუღლის და უკანასკნელების ძვირფასის დედის კნ.

პელაგია დადეშქელიანის ასულის მიქელაძისას.

საამდროვო საგეცნიერო



„მეტი სინათლე“!

გამოვიდა და იყიდება

ყველა წიგნის მაღაზიებსა და გაზეთების აგენტებთან „კოლხიდა“-ს გამოცემა

„ანარქიზმი“

ნ. ჟ.

ფასი 30 კაპ.

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ ივ. გოძელაურის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო

სკოლებში შესასწავლი

ქართველი მწერლები

მათი სურათებით და ბიოგრაფიებით.

წიგნი პირველი,

მეორე გამოცემა, შევსებული და შესწორებული. შეიცავს 416 გვერდს და **ღირს უდით თოთხმეტი შაური**. მაღაზიებს და სასწავლებლებს დაეთმობა 20 პროცენტათ.

ამ წიგნის საწყობი იმყოფება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში, (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურთა ქარვასლა). ადრესი: Тифлисъ, Общество распространенія грамотности среди грузинскаго населенія. (3—6—2)

მედიცინის დოქტორი

ს. ა. ლიური

საიმპერატორო სამხედრო-სამედიცინო აკადემიის კლინიკის ყოფილი ორდინატორი **ყურის, ყელის და ცხვირისა** იღებს ყოველდღე ავათმყოფებს დღის 1—2 ს. და საღამოს 5—7 ს.

პეტერბურგის ქ, № 10. ტელეფ. № 595.

კიდევ პოლიტიკურ გულგრილობაზე

—

სახელმწიფო დუმის არჩევნები უკვე დაიწყო. მარა ამ არჩევნებს ზედ აზის პოლიტიკური ინდიფერენტიზმის ძლიერი დაღი. არჩევნებზე ცოტა ხალხი მიდის, ის აღფრთოვანება და ენტუზიაზმი აღარ არის, რომელიც ემჩნეოდა პ-რველი და მეორე დუმის არჩევნების დროს. ასეთი გარემოება რამდენიმეთ იმით აიხსნება, რომ არ არსებობს საარჩევნო აგიტაციის თავისუფლება, რომ მემარცხენე პარტიებს ერთგულათ სდევნის მთავრობა და სხვ. მარა ეს არ არის უმთავრესი მიზეზი. თვით ხალხში რომ მეტი ინტერესი იყოს პოლიტიკურ ცხოვრებისადმი, ის გადალახავდა ყოველ ბიუროკრატიულ დაბრკოლებას და მეტ სიცოცხლეს შეიტანდა საარჩევნო ბრძოლაში. მთავრობა არასოდეს არ აძლევდა ხალხს თავისუფლებას, მარა ხალხი ძალით ახორციელებდა საჭირო თავისუფლებებს, ის თვითონ ქმნიდა ბრძოლის ორგანიზაციებს და დაპყრობილ პოზიციაზე გამაგრებულს ახალ-ახალი იერიში მიქონდა მტრის ბანაკზე. ასეთ ტაქტიკას აწარმოებდა ის მუშათა კლასის მეთაურობით იმ დროს, როცა განმათავისუფლებელი მოძრაობა ზევით ზევით მიიწევდა. მარა დღეს რეაქციის ბატონობის ხანაა, გაჭიანურებული პოლიტიკური კრიზისია. და აი, სწორეთ ამით—რეაქციის სიძლიერით და განმათავისუფლებელი მოძრაობის სისუსტით აიხსნება არსებული პოლიტიკური ინდიფერენტიზმი. აქ არის დამარხული მისი ობიექტიური მიზეზი. აქედან ცხადია თუ რა მოვალეობა გვაწევს ჩვენ თავზე საარჩევნო კამპანიაში: პოლიტიკური ინდიფერენტიზმის დარღვევა და მასის პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩათრევა—ეს აუცილებელი პირობაა იმისთვის, რომ განმათავისუფლებელი მოძრაობა მოჯადოებული წრიდან გამოვიდეს და განაგრძოს თავისი ძლევა-მოსილი მსვლელობა. მარა პოლიტიკური ცხოვრების დაკნინება ისე შორს წავიდა, რომ ზოგიერთი, ეგრეთ წოდებული „მემარცხენე ამხანაგები“ მასის უმოქმედობას ადასტურებენ, ასეთი უმოქმედობა რევოლიუციონურ ტაქტიკათ გამოაქვთ. არჩევნების ბოიკოტი, რომელიც ისევ წამოაყენეს ჩვენმა ბოლშევიკებმა, ამ პოლიტიკური უილაჯობის ფილოსოფიაა. რევოლიუციონური დეკლამაციით ეს ამხანაგები ცდილობენ დაფარონ თავიანთი არარაობა, დაფარონ ის გარემოება, რომ თვითონ ისინი მიდიან „ნაკლებ წინააღმდეგობის გზაზე“, რომ მასსას კი არ მიუძღვებიან წინ, არამედ თვითონ მისდევენ მას უკან. ასეთია მათი „წინამძღოლობა“. როგორც გაზეთი „ტოვარიში“-ი გადმოგვცემს, ამ დღეებში დასრულებულ სოც.-დემ. მ. პ. პეტერბურგის კონფერენციას შემდეგი დადგენილება გამოუტანია სახ. დუმაში არჩევნების შესახებ: „იმ შემთხვევაში, თუ მუშათა საარჩევნო კრებებზე საგრძნობელი უმრავლესობა ბოიკოტს მიემხრობა, ს.-დ. უნდა დაემორჩილოს ამ უმრავლესობას და არ მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში“... და სხვ. ამაზე შორს პოლიტიკური უხასიათობა ვეღარ წავა. გამოდის, რომ სოც.-დემ. თავისი ტაქტიკა არ ქონია. ის ერთგვარი fadula rasa-ა რომელზედაც, ვისაც რა უნდა, იმას დააწერს. სადღა არის ის „დამუშავებული პლანები“, რომლებითაც ყური გამოგვიყრუეს ბოლშევიკებმა? ისინი გაქრენ იმ წამსვე, როცა სიტყვის მაგიერ ნამდვილი საქმე დარჩა საჭირო. იმის მაგიერ, რომ ისარგებლონ არჩევნებით და მიყუჩებულ მასაში სიცოცხლე შეიტანონ, ჩვენი „მემარცხენე ამხანაგები“ თვითონ ემორჩილებიან უმოქმედო მასსას და მის უმოქმედობას თავის ტაქტიკათ აცხადებენ.*) საჭიროა ამნაირ პოლიტიკურ უხასიათობას ენერგიული ბრძოლა გაუწიოს მუშათა შეგნებულმა ელემენტებმა. ვინც მართლა საქმით ეს ხურება მუშათა კლასობრივ შეგნება-შეკავშირებას და განმათავისუფლებელი მოძრაობის საქმეს, ის მთელი თავისი არსებით უნდა წინააღუდგეს ამგვარ გამხრწნელ მიმართულებას. დეე, მათ ინუგეშონ თავის სიტყვების რახა-რუხით, ჩვენ კი თუ გვინდა რომ მართლა ხელი შეუწყოთ მოძრაობის გაძლიერებას, ყოველი საშუალებით უნდა ვებრძოლოთ პოლიტიკურ ინდიფერენტიზმს. განმათავისუფლებელ მოძრაობას არ ყავს პოლიტიკურ გულგრილობაზე უფრო საშიში მტერი. მასსის უმოძრაობა და გულგრილობა—აი რით სულდგმულობს ჯერ კიდევ ძველი რეჟიმი. ჩვენი ვალია კვერი კი არ დავუკრათ ამ მოვლენას, არამედ ვებრძოლოთ, ვაწარმოოთ მოძრაობა, ცოცხალი საქმე!

პოლიტიკური მიმოხილვა.

—

დაიწყო არჩევნები... დეპეშათა სააგენტოც ცდილობს რაც შეიძლება, საზოგადოებას დავთარი დაუბნიოს იმის შესახებ, თუ რა პარტიის კაცები გადიან სხვადასხვა ადგილებში. მან თავისი უშინაარსო პოლიტიკური და საარჩევნო ტერმინოლოგია, კიდევ უფრო არივდარივა. ეხლა „მონარქისტებს“ გვერდს ვიღაც „ზომიერები“ ამოუყენა. ვინ არიან ეს ახალი „უცნობნი“? ამის შესახებ საყურადღებო ცნობებს იძლევა „მოსკოვის ხმა“, ოქტომბრისტების გაზეთი. ასეთ „დინჯ“ გაზეთს საინტერესო საკითხში დაეჯერება. მოვიყვანოთ ზოგიერთი საგულისხმო ცნობები. სააგენტოს ცნობებით კოლომენის მაზრაში რწმუნებულებათ არჩეულია 29 **ზომიერი** და სამი მემარცხენე; გუჩკოვის გაზეთი ამბობს, რომ ყველა **არჩეულები კადეტებიაო.** სააგენტოს ანგარიშით სერპუხოვის მაზრაში აირჩიეს ორი მემარჯვენე, ორი მემარცხენე და 24 **ზომიერი.** „მოსკოვის ხმის“ ცნობებით რწმუნებულთა უმრავლესობა მემარცხენეებია. სააგენტო გადმოგვცემს რომ მოსკოვის მაზრაში მარტო ერთი მემარცხენე აირჩიეს; გაზეთი კი დაბეჯითებით ამბობს, რომ 15 რწმუნებული მემარცხენეაო, ამგვარივე ცნობებია ბოგოროდის მაზრის შესახებ: თურმე იქაური 17 ზომიერი, 17 მემარცხენე ყოფილა.

ჯერ სხვა ადგილებიდან ცნობები არაა მოსული, მარა მაინც დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ „არც ისე საშიშია ეშმაკი, როგორც მისი სურათი“.

⁂

ამას წინეთ ფინლიანდიის ნაპირებთან საიმპერატორო იახტა „შტანდარტი“ ქვას დაეჯახა.

ამ დღეებში დაინიშნა გამომძიებელი კომისია. კომისიის მოვალეობაა ნათელყოს ავარიის უტყუარი მიზეზები და დამნაშავე სისხლის სამართალში მისცეს. ჯერ გამოძიება არც კი დაწყებულა და „რუსული დროშა“ უკვე შეუდგა თავის შავ საქმეებს. შავრაზმელების გაზეთები ახალ ქსელს ქსოვენ, რომ შიგ მსხვერპლი მოხვდეს. ისინი ამტკიცებენ, რომ ავარია განზრახაა გამოწვეულიო და მისი მიზეზი „შტანდარტის“ ჩვეულებრივი მატარებელი ლოცმანი ბლოკისტიაო. ბლოკისტი შთამომავლობით ფინლიანდელია და „ინოროდცების“ ჭამია გაზეთებს ეს ხელსაყრელი მოვლენა სურთ სააგიტაციო მასალათ გამოიყენონ.

როგორც მოგეხსენებათ, ნოემბრის მანიფესტით ფინლიანდიაში ახალი წესწყობილება შემოიღეს. გენერალ-გუბერნატორის გერარდის შემწეობით უკანასკნელ დრომდე ფინლიანდიის საქმე უკონფლიქტოთ მთავრდებოდა. ფინებს შეძლება მიეცათ საჭიროებისამებრ მოეწყოთ თავისი საქმეები. სეიმი და სენატი თითქმის ერთათ ერთი გამგენი იყვნენ ფინლიანდიის შინაურ საქმეებში. ისინი ამუშავებდნენ არამც თუ ახალ კანონებს, მათ ნება მიეცათ ძირითადი კანონის დამუშავებისაც. წინა დღეებში სატახტო ქალაქებში დასტამბული იყო ფინლიანდიის ძირითადი კანონების პროექტი. პროექტი ძლიერ საინტერესოა. მოვიგონოთ პროექტის რამოდენიმე მუხლი: „ახალი კანონების გამოცემის, შეცვლის და განმარტების ძალა და უფლება ხელმწიფეს ეკუთვნის სეიმთან ერთათ. ძირითადი კანონები უბრალო კანონებათ ითვლება. ხელმწიფის კანონმდებლობითი ინიციატივა იმაში გამოიხატება, რომ ის სეიმს კანონების შესახებ წინადადებას აძლევს... ფინლიანდიის საკუთარი ჯარი უნდა ეყოლოს. გენერლები, შტაბის და ობერ-ოფიცრები, აგრეთვე სამოქალაქო მოხელეები და ჯარისკაცები, რომლებიც ფინლიანდიის ჯარს ეკუთვნიან, ფინლიანდიის მოქალაქენი უნდა იყვნენ... ყოველი კანონის გამოცემის დროს სათაურში მოხსენებული უნდა იქნეს, რომ ის ხელმწიფისა და სეიმისაგანაა დადასტურებული.

პროექტი ცხადათ ამტკიცებს, რომ ფინლიანდიას მაგრათ მოუკიდია ფეხი დემოკრატიზაციის გზაზე.

„ახალი დროებიდან“ მსწრაფლ გამოისინდენ შხამიანი ყვავები და ფინლიანდიისაკენ მიუმართავთ თავიანთი შხამიანი ენები.

ეს იმის ნიშნებია, რომ ფინლიანდიას ახლო ხანში განსაცდელი მოელის.

ახალი ამბები

—

◆ **არჩევნების გამო.** თფილისის 1-ლ განყოფილების ამრჩეველებთან ერთათ მონაწილეობას მიიღებს ბორჩალოს მაზრის 25 ამრჩეველი. მესამე განყოფილებასთან თფილისის მაზრის 374 ამომრჩეველი.

◆ **მკვლელობა.** როგორც აბაშიდან იტყობინებიან, იქ მოუკლავთ პოლიტიკურ ნიადაგზე გლეხი დავით ქოიავა.

◆ **დაჭრა.** სოფელ გეჯეთში (სენაკის მაზრა) სასიკვდილოთ დაუჭრიათ მღვდელი ხორავა და ადგილობრივი მამასახლისი.

◆ **უმუშევართა შესახებ.** საარჩევნო უწყებების და ადრესების დასაწერათ დღემდის 70 უმუშევარი ინტელიგენტი მიუღია ქალაქის საბჭოს. როგორც ყოველთვის, ახლაც ბევრი ისეთი დარჩა სამუშაოს გარეშე, რომელთაც არავითარი წყარო ცხოვრებისა არ მოეპოებათ. ზოგიერთები კი, ისეთებია მიღებული, რომელთაც თუმცა გაჭირვებით, მაინც შეეძლოთ თავის რჩენა. ამას გარდა მომუშავეთა შორის შემდგარა ეგრეთ-წოდებული კომისია 7 კაცისაგან, რომლებიც დილითაც მუშაობენ და საღამოთაც, როდესაც ერთხელ რომ ემუშავნათ, მეორე სმენისათვის შესაძლებელი იყო სხვა უმუშევრების მიღება. ამნაირათ უფრო ბევრს შეეძლებოდა რამდენიმე კაპეიკით თავის აუცილებელი მოთხოვნების დაკმაყოფილება. მაგრამ ყველა ეს ხომ ძველია და არა ახალი.

◆ **თფ. გ.-გუბერ. განკარგულებანი.** სოფ. ქაიდარის მცხოვრები კარაიანის

---

*) როგორც ვიცით, სრულიად რუსეთის კონფერენციამაც და ცენ. კომ. არჩევნებში მონაწილეობის მიღება გადაწყვიტა, მარა ბოლშევიკები თავისას მაინც არ იშლიან და უმრავლესობის გადაწყვეტილებას არ ემორჩილებიან. მათი ასეთი მოქმედება ერთხელ კიდევ გვიმტკიცებს, თუ რამდენათ პატივს სცემენ ისინი პარტიის მთლიანობას, მის ერთობას.

განუფრთხილებისა აბდულ ნამარ-ოღლი სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის დაპატიმრებულ იქნა ციხეში ორი თვის ვადით. ოლგინის ქუჩაზე მოვაჭრეს თფილ. მაზრის სოფ. დიღმის მცხოვრებს ილიკოს გამყრელიძეს, როგორც მავნე პირს საზოგადოებისათვის, აეკრძალა ცხოვრება თფილისის გუბერნიაში სამხედრო წესების მოხსნამდე და დაეკეტა მას დუქანი ამავე ვადით, რადგან აქ იფარავდენ თავს სხვა და სხვა საეჭვო პირები. საჩაის ტრაქტირის პატრონი ოლგინის ქუჩაზე ე. ნაზარევ-ოღლი, სახლის პატრონები, ოლგინის ქუჩაზე: შაქრო მაისურაძე, იოსებ მაისურაძე ვლადიმირ კრანშტეინ; ღვინის სარდაფის პატრონი მიხ. სეხიევი და სახლის პატრონები ისევ ოლგინის ქუჩაზე არგუთინსკი, ჰასანაურის ჰერეულკაზე ალექსანდრე წამალაშვილი სანიტარული დადგენილების შეუსრულებლობისათვის დაჯარიმებულ იქნენ თითო 25 მანეთით. სენაკის მაზრის სოფ. გუდჟაანის მცხოვრებ ლაზ. ნიკოლაშვილი, კოტე ბაღდასარიშვილი, ილ. ბაღდასაროვი, აბრია ბეზორაშვილი, სანდრო იმერელაშვილი და კოტე არაქელაშვილი, როგორც მავნე პირნი საზოგადოებისათვის იგზავნებიან პოლიციის მხედველობის ქვეშ პერმის გუბერნიაში სამხედრო წესების მოხსნამდის. ეჩმიაძინის მაზრის სოფ. ვაგარშაპატის მცხოვრებს ოგანეზ იასაიანს და სპარსეთის ქვეშევრდომს მისაკ შეილს სიმონისას როგორც საზოგადოებისათვის მავნე პირთ აეკრძალათ ცხოვრება თფილისის გუბერნიაში სამხედრო წესების მოხსნამდე. თფილ. მცხოვრები სახლის პატრონი რაკეტნი ჰერეულკაზე № 14 ანასტასია სალთიში სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის დაჯარიმებულ იქნა 25 მანეთით. სიღნაღის მაზრის სოფ. ოზაანის მცხოვრები ალ. ოზაშვილი, როგორც მავნე პირი საზოგადოებისათვის, გადასახლებულ იქნა ვიატკის გუბერნიაში პოლიციის მხედველობის ქვეშ სამხედრო წესების მოხსნამდე.

არხანგელის გუბერნიიდან გამოქცეული გორის მაზრის სოფ. დიზის მცხოვრები სიკო მღებრიშვილი იგზავნება უკანვე არხანგელის გუბერნიაში პოლიციის მხედველობის ქვეშ.

◆ 11 სექტემბერს გაიხსნა თფილისში ახალი სკოლა სპარსელ ქვეშევრდომთა ბავშვებისათვის სკოლის გახსნას დაესწრენ სხვა და სხვა მუსულმანთა დაწესებულების წარმომადგენელნი. საგუბერნიო კაზიები, კავკასიის სამოსწავლო ოლქის წარმომადგენელი, ბევრი ქართველები და სომხებიც. მრავალი სიტყვა იქნა წარმოთქმული. სკოლას შეინახავს მუსულმანთა საქველმოქმედო საზოგადოება.

◆ **დაჯარიმება**. ქალაქის საბჭოს მიერ არჩეულ განსაკუთრებითი კომისიის ჩვენებით, რომელიც თვალ-ყურს ადევნებს ტრამვაის წესიერ მიმოსვლას, ამ წლის 11 ივნისიდან საბჭომ დააჯარიმა უსახელო საზოგადოება 45,750 მან. დაჯარიმება ხშირათ ხდება, გადახდა ჯარიმის კი, ვგონებ არც ერთხელ.

◆ კავკასიაში ხელოვნების განვითარების საზოგადოებამ წინადადება მისცა ქალაქის თვითმართველობის საბჭოს გადადოს მან მომავალ 1908 წ. ხარჯებისათვის 2,000 მან. საბჭო განიხილავს ამ კითხვას.

◆ **უბედური შემთხვევა.** 11 სექტემბერს საღამოს 7 საათზე საპიორის ქუჩაზე № 26 სახლში, როდესაც იქ გადაქონდა „პაგრანიჩნი სტრაჟას“ ფულის რკინის კასა, ჩამოინგრა მარმარილოს კიბე და ქვეშ მოიტანა სამი მუშა პ. რუხაძე სარქისა კარაპეტოვი და ალ. რუხაძე სამივე წაიყვანეს მიხაილოვის საავადმყოფოში. მათი სიცოცხლე განსაცდელ მდგომარეობაში არის.

◆ **სკოლის გარეშე განათლების გამავრცელებელი საზოგადოება** იწვევს საშუალო და დაბალი საზოგადო განათლების კურსების ლექტორებს ლექტორთა კრებაზე დასასწრებლათ 13 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე, თფილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიაში (ველიკოკნიაჟესკის ქ., ლექციაზე ჩაწერა დაიწყება 15 სექტემბრიდან. კურსების გახსნა და ლექციების კითხვა კი—17 სექტემბრიდან. ლექციების კითხვა იქნება 6—9 საათამდე. დაწვრილებით პირობების გაგება შეიძლება ვაჟთა მეორე გიმნაზიაში ლექციების დროს.

სასამართლოს ქრონიკა

19 სექტემბერს ქალ. სოხუმში გაირჩევა ცნობილი პოლიტიკური საქმე გაგრის (სოხუმის ოლქია) ს. დ. ორგანიზაციის წევრების, ფრაქციით „ბოლშევიკებისა“. პასუხის გებაში არიან მიცემულნი 20 კაცი: ავქსენტი ზენდელიანი, ილარიონ ზენდელიანი, ხარლამპი ქყონია, სერგო იაშვილი, ანდრია მატიტაშვილი, ივანე ჩაჩავა, ვლადიმერ ზენდელიანი, ვარლამ მაქსიმოვი, სიმონ თავაძე, თეოფილე ნასრია, კოტე ცინცაძე, ფრანც ანტონოვი, პორფირი მაღლაკელიძე, ივანე ივანთუშენკო, იოსებ მარუაშვილი, ილია ჩიჩკანი, პანტელიმონ კენჩა, აკაკი მუჯირი, გიორგი კვაჭანტირაძე, და დავით კასრია. მათ საზოგადოთ ყველას ბრალდებათ: საიდუმლო ორგანიზაციის წევრობა, მთავრობის წინააღმდეგ მოქმედება, სახალხო მილიციის მოწყობა; ხალხის შეიარაღება, ტერორისტული აქტების მოწყობა, ორგანიზაციის სახელით ფულის შეგროვება ნებით-ზოგიერთ პირებისაგან დამუქრებით წართმევა და სხვა. კერძოთ ზოგიერთებს—მიხეილ ორაგველიძეს, ეფრემ ცინცაძეს, გ. ზენდელიანს, გ. ქინქარაძეს და ფარნაოზ ჯაკიას. 1095 წ. 28 სექტემბერს გაგრის კლიმატიური სტანციის უფროსის ლეონიდ კერემენტევსკის მოკვლა; 2) აგვისტოს 1905 წ.—გაგრაში დაცემა იმავე სადგურის მებაღე ვიაჩისლავ იოსებიძე კოტეკაზე, მისი ცემა, ზღვის ნაპ. ამაღლებულ ადგილიდან ძირს გადაგდება. სადაც კოტეკას თავის ქალა გაჩეხია და 22 აგვისტოს მომკვდარა. 3) ხარლამპი ქყონიას, კონსტანტინე ცინცაძეს და ანდრია მატიტაშვილს ბრალდებათ იმ საქმეების დაწვრილებითი ოქმების გამოტაცება, რომელიც შეეხებოდა ლ. შერემენტევსკის მკვლელობას, და რომელიც ინახებოდა პეტერბურგის სასამართლოს გამომძიებელს ბურცევთან გაგრის სასტუმროს ოთახში. ბრალდებულთ დაიცავენ ნაფიცი ვექილები, თფილისიდან: ბარათაშვილი, კ. ჯაფარიძე და კლინკი, პეტერბურგიდან ანდრონიკაშვილი.

—12 სექტემბერს, კავკასიის სამხედრო-საოლქო სასამართლოში გაირჩა პოლიტიკური საქმე თფილისის სახელოსნო სკოლის მოწაფეების პეტრე პოპოვისა და ივანე კესინოვისა. მათ ბრალდებოდათ 1907 წელს 4 ივნისს ზემოხსენებული სკოლის დირექტორის პოზდეიმოვის მოკვლა. სასამართლოს თავმჯდომარეობდა გენერალ-მაიორი რატინსკი, პროკურორი კაპიტანი პოზნიაკი; ბრალდებულნი რომელთაც იცავდა ნაფიცი ვექილი კლანკი. ორივე გაამართლეს.

მცირე შენიშვნა

გაზ. „ისარის“ გუშინდელ ნომერში დაბეჭდილია გრძელი საინტერესო, საკამათო მეთაური წერილი. ჩვენ აქვე არ ვაძლევთ ამაზე ვრცელ პასუხს, რადგან ხელთ არა გვაქვს ის სალიტერატურო მასალა, რასაც იგი ეხება.

„ისარის“ მეთაური საინტერესოა არა თავისი სიგრძით (სამ სვეტნახევარია) არამედ იმ მხრივ, რომ იგი, ჩვენი წინადადებისამებრ, პირდაპირ ასახელებს და ხელს ადებს იმ მიმართულებას, რომელმაც „შექმნა ატმოსფერა, სადაც ასეთ ბოროტებას (ილია ჭავჭავაძის მკვლელობა) ადგილი აქვს და მარჯვე ნიადაგი აქვს მომზადებული“ („ისარი“, № 192).

როგორც ხედავთ, გაზეთს ერთობ სასიკეთო და მასთან გაბედული მისსია აულია თავის თავზე. შემდეგ წერილში დავინახავთ, რამდენათ მარჯვეთ აასრულებს მას. ეჭვს გარეშეა, ამას მოწმობს თვით „ისარის“ წერილი, რომ ჩვენი პოლემიკა, მეტი არა ვთქვათ, ერთობ ცხარე იქნება. და განა კეთილ გონიერება, თვით განსვენებულის ხსოვნის პატივისცემა არ ავალებდა „ისარს“, რომ მას ეს კამათი განსვენებულის სახელის გარეშე არ აეტეხნა და ან თუ აღარ დაიშლიდა, მოეკადნა პატარა, ვინემ საზოგადოება ცოტათ მაინც დაშოშმინდებოდა, ვიდრე უზომოთ აშლილი ვნებათა ღელვა ჩაყუჩდებოდა?! მაგრამ „ისარმა“ სხვაფრივ განსაჯა და მაშ, დეე აქედანვე იცოდეს, რომ ბოლოს თვითვე იძულებული გახდება, საჯაროთ თუ არა, თავის გულში მაინც დაჟინებით იმეორებდეს: „me me, adsUm quifeci!“ (მე, მე ჩავიდინე ეს!)

გაზ. „ისარი“ იწერს „მოგზაურიდან“ რამდენსამე ფაქტს, რომელიც განსვენებულის „კაცურ-კაცობას“ ერთობ მავნებელ აჩრდილს აყენებს. ეს ფაქტები ყველა საქმესთან გაუცნობელს მეტის-მეტათ დაუჯერებლათ ეჩვენება. მარა ფაქტების შესახებ სიტყვიერი კამათი შეუძლებელია. საქმის ფაქტიური მხარე ან უნდა დამტკიცდეს და ან უარყოფილ იქნას ფაქტებითვე. ჩვენ ერთი რამ გვაოცებს: თუ კი „ისარს“ მოეპოვება საშუალება დაარღვიოს და ერთიანათ უარყოს დასახელებული ფაქტები, სად იყო იგი ამ სამი წლის წინათ, სად იყო მაშინ, როცა „მოგზაურმა“ ეს ფაქტები პირველათ წამოაყენა განსვენებულ ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ?!. არა, არ შეგვიძლიან გულის წყრომათ არ მივმართოთ „ისარს“ თვით ილიას სიტყვებით:

„შენ იქ იდექი, ამბობ, იმ დროსა
და იქამდინა მიუშვი მტერი,
რომ „აცემინე“ მამა ბეჩერი?!
მითხარ, დეუალო, რას აკეთებდი,
რას გეუბნოდა გული იმ დროსა?..
რას უყურებდი? ნუ თუ სეირსა,—
როგორ სწუწნიდენ მამა შენს სისხლსა!..
ფუ, შენს ნამუსსა, მამაშვილობას,
ფუ, შენს სახელსა, შენს ვაჟკაცობას“!..

გაკვრით.

ჩვენ ხელში ჩაგვივარდა ანარქისტ-კომუნისტთა ადგილობრივი ჯგუფის ფურცელი, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შესახებ გამოშვებული. ფურცლის ავტორები სამართლიანათ გმობენ იმ დემაგოგიას, რომელსაც ჩვენი „ჭეშმარიტი ქართველები“ ეწეოდენ ამ ხნის განმავლობაში ქართველი მუშებისა და ღარიბი გლეხ-კაცობის წინააღმდეგ. მარა ავტორებმა მარტო ეს არ იკმარეს და სოციალდემოკრატებსაც სწვდენ. აი სხვათა შორის რას ვკითხულობთ ფურცელში:

„დიახ, რომ ჩვენ არ შეგვიძლია სოც.-დემოკრატებსავით, ან პეტრე მოციქულსავით უარი ვთქვათ თავის თავზე და ვთქვათ, რომ მესაკუთრეთა და უმწეოთა შორის გაჩაღებულ ბრძოლაში ჩვენ ვგმობთ უმწეოთა ბრძოლასო, ჩვენ არ დავგმობთ ჩაგრულთა ბრძოლას, არა და არა!“

საიდან გამოიყვანეს ასეთი დასკვნა ანარქისტ-კომუნისტებმა? როდის იყო, რომ სოც.-დემოკრატებმა დაგმეს უმწეოთა ბრძოლა მესაკუთრეების წინააღმდეგ? ავტორებს მოყავს ჩვენი გაზეთის წერილის ის ადგილი, სადაც დაგმობილია ეკონომიური ტერორი. ჯერ ერთი, რომ ბრძოლის ამნაირ საშუალების წინააღმდეგი ჩვენ ყოველთვის ვიყავით და დავარწმუნებთ ანარქისტებს, რომ ამერიკა მათ არ აღმოუჩენიათ. მერე ნუ თუ ეს არის ბრძოლის უარისყოფა? ჩვენ უარვყოფდით და დღესაც უარვყოფთ სათითაო ტერორს, ვინაიდან ეს არ არის კლასიური ბრძოლის საშუალება. ჩვენ ყოველთვის მოუწოდებდით მასსას შეკავშირებულიყო და საერთო ძალით ებრძოლა ექსპლუატატორების წინააღმდეგ. მარა რომელიმე პიროვნების მოსპობით, რა გინდ მაზარალებელი იყოს ასეთი პიროვნების მოქმედება, არაფერი არ შეიცვლება. კლასთა ურთიერთობა იგივე დარჩება, მუშათა საქმე ოდნავათაც არ წავა წინ. ხშირათ ასეთ მოქმედებას ზარალიც კი მოაქვს მისთვის. კლასი კლასის წინააღმდეგ—აი ჩვენი ბრძოლის გზა. და ვინც ფიქრობს, რომ ერთი ორი ექსპლუატატორის თავიდან მოშორებით ქვეყნით ბედნიერებას დაამყარებს, იმას სრულიად არაფერი გაეგება მუშათა მოძრაობის შესახებ. ბ.ბ. ანარქისტებს კი გონიათ, რომ თითო-ოროლა კაცის გამოსვლით, პარტიზანული მოქმედებით შეიძლება განთავისუფლდეს მუშათა კლასი ბურჟუაზიული საზოგადოებისაგან, მარა როგორც ვთქვით, ასეთ გამოსვლებს თვითონ მუშებისათვის მოაქვს ზარალი. შორს რომ არ წავიდეთ, ავიღოთ იგივე ილია ჭავჭავაძის მკვლელობის მაგალითი. ამან ფეხზე დააყენა ჩვენი ქვეყნის რეაქციონური ძალები, რომლებშიაც მოუწოდებენ ყველას: „ხმალი აიღეთ ხელში“ და შეებრძოლეთ იმ ნათელ ძალას, რომელმაც შექმნა ჩვენში მოძრაობა, რომელმაც საძირკველი ჩაუყარა ახალ ისტორიას! ბბ. ანარქისტებს კი გონიათ, რომ რაკი ასეთ ბრძოლის საშუალებას უარვყოფთ, ამით უარ-

საერთაშორისო სოციალისტური კონგრესი შტუტგარტში

ორ კვირაზე მეტია, რაც შტუტგარტის უდიდეს და უმშვენიერეს დარბაზში მუშათა მსოფლიო პარლამენტმა შეწყვიტა სხდომები. დამსწრეთა საერთო რწმუნებით შტუტგარტის სხდომები და ადგილობრივ მუშების იმპონანტური დახვედრა ოქროს ასოებით უნდა იქნას ჩაწერილი ინტერნაციონალის ძლევამოსილ ისტორიაში. კონგრესზე იყო წარმოდგენილი 23 სახელმწიფო და დელეგატთა რიცხვი, რომელნიც დედა-მიწის პირის ყოველ კუთხიდან ჩამოსულიყვენ, უდრიდა 886-ს. თანაც ის გარემოება, რომ კონგრესი მარქსის და ენგელსის სამშობლოში, გერმანიაში, მოხდა, განსაკუთრებულ სადღესასწაულო ელფერს სდებდა მთელ ამ საქმეს. სამართლიანათ დრტვინავს ბებელი „ფორვერტის“ საკონგრესო გამოცემაში, რომ ინტერნაციონალის დამფუძნებელნი საფლავში განისვენებენ და ვერ უჭვრეტენ თავიანთ პირმშოს ჭაბუკობის გმირულ ასაკში. იქვე სწერს ჟორესი, რომ ინტერნაციონალი დღეს ძალაა, რომელსაც არა მარტო რევოლიუციების გამოტანა შეუძლია, არამედ მას აქვს **ნება** და ესწრაფვის ეს ნება მსოფლიოს ბურჟუაზიის ნებას დაუპირდაპიროს.

ევროპის ყოველ სახელმწიფოში ჯერ კიდევ არ შეწყვეტილა გაცხარებული სჯა-ბაასი პრესაში თუ კრებებზე შტუტგარტის კონგრესის შესახებ. მთელი ბურჟუაზიის პრესა დიდ ჰაპაწყვეტაშია, რომ კონგრესის ნამოქმედარი სასაცილოთ გახადოს, ან კიდევ მისი არარაობა „მიუდგომელ“ კრიტიკით დაამტკიცოს. მთელს ამ „სასიქადულო მოღვაწეობაში“ მას ვერ შეუგნია საკუთარი ულოღიკობა: „სასაცილოს და არარაობას“ ჭკუა მთყოფელი ადამიანი არ დაუთმობს იმდენ დროს და ადგილს, რამდენსაც უთმობს მას თვით ბურჟუაზიული პრესა.

ამ წერილს არაა აქვს მიზნათ ბურჟუაზიულ და სოციალისტურ პრესის მითქმა-მოთქმა გააცნოს მკითხველს. არც ისაა ჩემი მიზანი, რომ კონგრესზე ნანახი და გაგონილი დაწვრილებით აგწერო. მე მინდა მხოლოდ სულ მოკლეთ ავნუსხო კონგრესის ნათათბირევი და შედეგები საერთოთ.

პირველათ მე შევეხები კონგრესის უმთავრეს მუხლს—მილიტარიზმს და საერთაშორისო კონფლიქტებს. ეს კითხვა იყო ცენტრი, რომლის გარშემო ტრიალებდა ყველა დანარჩენი კითხვები. მასთან ამ კითხვის გარჩევის დროს კომისიაში უმთავრეს ინტერესს წარმოადგენდა გერმანელთა და ფრანგების შეტაკება, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ევროპის დიდებულმა ორატორებმა—ჟორესმა და ბებელმა, და გამოჩენილ სტრატეგებმა—ვაიანმა, ყოფილმა კომუნარმა, და ფოლმარმა, რომელიც მე-70 წლის ომში დაიჭრა.

დებატების პირველ დღეებში უპირატესი ადგილი ეჭირა ორ მიდრეკილებას, რომელთა შეთანხმება ყველას საეჭვოთ მიაჩნდა. ერთ მიდრეკილებას გამოხატავდა ჟორეს-ვაიანის რეზოლიუცია, მეორეს—ბებელის რეზოლიუცია. დავაკვირდეთ ორივეს სათითაოთ.

ჟორეს-ვაიანის რეზოლიუცია ეკუთვნის საფრანგეთის გაერთიანებულ სოციალისტთა უმრავლესობას, რომელიც ორჯერ იქნა მიღებული ადგილობრივ კონგრესზე—ლიმოჟში შარშან და ნანსში წელს. იგი, რასაკვირველია, პრინციპიალურათ წინააღმდეგია თანამედროვე მილიტარიზმის და იმპერიალიზმის და აღიარებს მათ ბურჟუაზიის ბატონობის უაღრეს იარაღათ. გაბატონებულ კლასთაგან გამოწვეულ ომს, ამბობს ეს რეზოლიუცია, მოჰყვება მუშათა სისხლის ღვრა, რადგან ყოველი ერი და მაშასადამე მუშებიც, მოვალე არიან მოსეულ მტერს შეებრძოლონ და საკუთარი სამშობლო იხსნან განსაცდელისაგან. ამ სენის მოსასპობათ მას მიაჩნია უაღრეს საშუალებათ ახლანდელ მუდმივ ჯარის მოსპობა და მთელი ხალხის შეიარაღება. იგი ასახელებს მახლობელ საშუალებათაც, სახელდობრ: ყოველ პირველ მაისს ყველა ქვეყნის პროლეტარიატმა დემონსტრაციები უნდა მოახდინოს ნიშნათ იმისა, რომ იგი მომხრეა საერთო მშვიდობიანობის. აგრეთვე მიუთითებს იგი ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოზე—პირველათ გერმანიაზე—რომელნიც უარს არ იტყვიან რუსეთის შინაგან საქმეში გარევაზე რევოლიუციის ჩასაქრობათ და თხოულობს, რომ საერთაშორისო სოციალისტურმა ბიურომ და საპარლამენტო კონფერენციამ ადგილობრივ პარტიებთან თანხმობით აქტიური ზომები მიიღონ, თუ ვინცობაა რომელიმე სახელმწიფოს ომი მოელის. ომების ჩასაქრობათ იგი ექომაგება ყოველ საშუალებას, „პარლამენტარულ გარევიდან და საჯარო აგიტაციიდან დაწყებული **საყოველთაო გაფიცვამდე და ამბოხებამდე**“.

ბებელის რეზოლიუცია ეკუთვნის კონგრესის გერმანიის დელეგაციას. იგი არის უფრო პრინციპიალური და აქვს განყენებული ხასიათი. იგი ეთანხმება ჟორეს—ვაიანის რეზოლიუციას მილიტარიზმის დაფასებაში და უცქერის მას, როგორც კაპიტალიზმის არსებით ნაწილს. ამიტომ იგი მოელის მილიტარიზმის მოსპობას არა უადრეს თვით კაპიტალიზმის მოსპობისა. იგი ავალებს სოციალისტურ პარტიებს „**ყველაფერი იღონონ**“ ომი ჩააქრონ, თუ იგი ატყდა სადმე. ამგვარათ ბებელის რეზოლიუცია არ ასახელებს არავითარ სპეციალურ საშუალებას, მაგრამ არც უარყოფს რომელიმე მათგანს.

გარდა ამისა, ორი რეზოლიუციაა; ერთი ეკუთვნის ჰერვეს, მეორე—გედს. პირველი, ე. ი. ჰერვეს რეზოლიუცია უახლოვდება ჟორეს-ვაიანის რეზოლიუციას მით, რომ იგიც საჭიროთ ცნობს საშუალებათა დასახელებას და ხალხის ამბოხებას ემხრობა. მაგრამ დიდი განსხვავებაც არის მათ შორის, რადგან ჰერვე მომხრეა აგრეთვე „სამხედრო გაფიცვის—უმთავრესათ რეზერვისტების უარის თქმისა ჯარში გასვლაზე, რომელსაც სასტიკათ გმობენ ჟორესი და ვაიანი. მასთან ჰერვესათვის სულ ერთია, რომელ ერის კაპიტალისტის ბატონობის ქვეშ იმყოფება პროლეტარიატი. გედის რეზოლიუცია ეკუთვნის საფრანგეთის გაერთიანებულ სოციალისტთა კარგა მოზრდილ უმცირესობას (ადგილობრივ კონგრესზე ჟორეს-ვაიანის რეზოლიუციას აძლევდა 167 ხმა, გედისას კი 141 ხმა!). იგი თითქმის არაფრით განირჩევა ბებელის რეზოლიუციისაგან, რამდენათმე მარჯვნივ იყურება მხოლოდ, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, იგი მილიტრიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კონცენტრაციას მავნეთაც კი თვლის, რადგან მისი აზრით, ეს ჩამოაშორებს მუშებს საერთო სოციალისტურ ბრძოლის გზას. მიუდგომლობა მოითხოვს დავსძინოთ, რომ გედის რეზოლიუცია გამოწვეულია საფრანგეთის სოციალისტთა ურთიერთ ვამწვავებისაგან, ამიტომ წვერიც უფრო წაწვეტილი აქვს მას, ვინემ ბებელის რეზოლიუციას. არსებითათ კი ისინი ორივე ერთგვარია.

ახლა ყველა ამ მიმდინარეობათა დამცველთ ცოტა რამე ვათქმევინოთ თავიანთ პირით და ზოგიერთ მათგანის ნათქვამს საკუთარი შენიშვნაც გაუკეთოთ. რასაკვირველია, მე მომყავს ორატორების ნათქვამი ჩემი სიტყვით.

ბებელი: გერმანიის სოციალდემოკრატია მილიტარიზმის შეურიგებელი მტერია. იგი ებრძვის მას ყოველ ნაბიჯზე, მაგრამ მილიტარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალურ საგნათ გადაქცევა ჩვენს პარტიას არალეგალურ ხასიათს მისცემს და განსაცდელში ჩააგდებს. გერმანიის პოლიტიკური პირობები განსაკუთრებულია და აქ საშუალებათა დასახელება მავნეა პარტიისათვის. ჩვენი სისხლის სამართლის დებულება ფრიად სასტიკია და საშუალებათა დასახელება მთავრობას საბაბს მისცემდა პარტიის გაორკეცებულ დევნისათვის. საფრანგეთის ანტიმილიტარისტთა აგიტაცია იწვევს საფრანგეთის ჯარის დეზორგანიზაციას, რაც აორკეცებს შიშს, რომ გერმანიის მთავრობა, ამით წაქეზებული, მოისურვებს სამხედრო საქმეში შესუსტებულ საფრანგეთს შეესიოს. ჰერვეს აზრი (ეს თქვა ბებელმა თავის მეორე სიტყვაში, ჰერვეს, ჟორესის, ვაიანის და სხვების გამოსვლის შემდეგ, ამის შესახებ, ვითომ გერმანიის სოციალდემოკრატია გულგრილათ უცქერის. გერმანიის მთავრობის რუსეთის მოძრაობაში გარევას მოჩმახულია, ისიც მოჩმახულია, ვითომ გერმანიის სოციალდემოკრატია

ვყოფთ კლასიურ ბრძოლას. ჩემი შენ გითხარი, გული მოგიკალით—სწორეთ ამაზე იტყვიან.

დიახ, ჩვენ მოუწოდებთ უმწეოთ იბრძოლონ მესაკუთრეთა წინააღმდეგ, მარა იბრძოლონ იმ გზით და იმ საშუალებით, რა გზითაც მიზნის მიღწევა შეიძლება და დაუძლურების მაგიერ არ გაძლიერდებიან ბნელი ძალები.

რუსეთის პრესა

დღევანდელ კრიზისის „სიმძიმის ცენტრი“.

კადეტების ლეიბ-ორგანო განუწყვეტლივ ჩივის, რომ მთავრობა მხოლოდ ფიზიკურ ძალაზე ეყრდნობა და სრულებითაც არ ფიქრობს დააკმაყოფილოს ხალხის კანონიერი საჭიროებანი, ქვეყნის მომწიფებული მოთხოვნილებანი, გაზეთი ეჩიჩინება მთავრობას ან ისტორიიდან ისწავლოს რამე, ან ევროპის მაგალითებს მაინც მიხედოს. „რეჩი“ სწერს:

„ევროპაში, რაკი ერთი ცხოვრებას დაუმტკიცებია, რომ აუცილებელია სახელმწიფო ცხოვრების ახალი ფორმების შემოღება, იქ მთავრობა, არამც თუ პრინციპიალურათ, თვით ცხოვრებაში ეგუებოდა ხოლმე ახალ წეს-წყობილებას და, თუმცა ენერგიულათ და ბეჯითათ იბრძოდა ყოველ თავის, მცირედიც იყოს, პრეროგატივებისათვის, მაინც ხალხისათვის დათმობილ უფლებებს ისე უცქეროდა ხოლმე, როგორც ახალ პირობებს, რომელთა მიხედვით უნდა გარდაქმნილიყო სახელმწიფო მართვა-გამგეობის ორგანოები და ფუნქციები. ეს სუბიექტიური მომენტი ჩვენში დღემდის არ მოიპოვება... იგი არ ყოფილა არც 17 ოქტომბრამდე, არც მის შემდეგ.

ამაშია „სიმძიმის ცენტრი“ იმ კრიზისისა, რომელსაც ჩვენ განვიცდით, ამაშია იმის მიზეზი, რომ აი, მალე შეიკრიბება მესამე დუმა, რომელიც კანონის მიხედვით უნდა იყოს ქვეყნის ინტერესთა გამომხატველი და ჩვენ მაინც არავითარი გარანტია არ მოგვეპოვება, რომ ამ სახალხო წარმომადგენლობასაც ისე არ მოექცევიან, როგორც მოექცნენ აშკარათ, დემოკრატიულ პირველ და მეორე სახ. დუმას“.

„რეჩი“ ასე გაუთავებლი ჩივის და გოდებს, თითქოს დარწმუნებული იყოს, რომ ამ რიგათ თავს შეაბრალებდა მთავრობას, გულს მოულბობდა და ბოლოს მაინც დაითანხმებდა სრულ კაპიტულაციაზე თუ არა, სხვილ-სხვილ დათმობებზე მაინც. მარა „სიმძიმის ცენტრი“ იქ არ არის, სადაც კადეტებსა ჰგონიათ. რასაც ესენი უკვე დამტკიცებულათ აღიარებენ, ჯერ სრულებითაც არ არის დამტკიცებული მთავრობისათვის. ეს უკანასკნელი მედიდურათ დაბჯენილი თავის იარაღზე, დამცინავი კილოთი ეუბნება ხალხს: სახელმწიფოს ახალი ფორმებისათვის, წესწყობილებისათვის! და ვიდრე ხალხ- დაამტკიცე, რომ შენ უკვე მომწიფდი სერიოზულათ არ „დაამტკიცებს“ თავის „მომწიფებას“, მანამდე ამაო არის „რეჩი“. აი სწორეთ აქ არის დღევანდელ კრიზისის „სიმძიმის ცენტრი“.

პროვინცია

სოფ. ატენი (ქართლი). ეს სოფელი დაშორებულია ქ. გორზე 7—8 ვერსით. გორის სადგურის მარჯვენა მხრიდან გაყვანილია წვრილ-ლიანდაგიანი რკინის გზა, რომელიც ეკუთვნის კონცესიონერს ბ-ნს ზეზემანს. ხსენებული გზა შიგ შუა ს. ატენში გადის და მიუყვება სულ ზემოთ ვიწრო ხეობას. აქედან აუარებელი ხე-ტყე ჩამოქონდა თითქმის 20 წლის განმავლობაში გორის სადგურზე და აძლევდა ხაზინას შესაფერ ფასში. სოფელში ხერხის ქარხანა გამართა, სადაც 100—200 მუშა მუშაობდა. კონცესიას ვადა გაუვიდა და შესწყვიტა კიდეც მოქმედება ბ-ნმა ზეზემანმა მაგრამ ეხლა როგორც ეტყობა მეორე სოფელში აუღია კონცესია, სახელდობრ, ს. გარდატენში, სადაც ეს ორი წელიწადია ახალი ლიანდაგი გაჰყავს და ძველს შლის. ჯერ ჯერობით პატარა სახერხი ქარხანა გამართა, რომელშიაც 20—40 მუშას ამუშავებს.

სოფ. ხიდისთავიდან ატენის სოფლის ბოლომდის ზედი-ზედ გადაბმულია ვენახები ვაზიდან დაწყებული საუკეთესო ჯიშის ნამყენ ატმით და სხვა ხილით აღსავსე, რომელსაც თფილისის ბაზარზე პირველი ადგილი უჭირავს. ღვინო ხომ მთელს ქართლში ცნობილია ამ სოფლისა. უწინ, კოკა 12—15 მ. იყიდებოდა ხოლმე. წრეულს ამის ფასმაც ძალიან დაიწია, რადგანაც ახალმა მოუსწრო, იძულებულია აქაურმა მცხოვრებლებმა ჩალის ფასათ მიყიდოს გორის ჩარჩ-მიკიტნებს. მისი ავლა-დიდება მარტო ღვინო და ატამია. ხვნა-თესვა სრულიად არა აქვთ, რადგანაც აქაური ნიადაგი სულ ნაპრალი კლდე და მწირი ადგილია და ამიტომ ტანთ-საცმელი და სხვა საჭირო საგნები გაყიდული ღვინისაგან უნდა იყიდოს, რომ ცოლშვილი გამოკვებოს; შინაურ ცხოველებსაც კი ვერა ზრდიან უჭირნახულობისაგან, რადგანაც თითონაც არა ყოფნით ნაყიდი სულდი.

ამ სოფელს ჩამოუდის პატარა მდინარე ტანა და უერთდება გორს. ეს მდინარე წრეულს ძალიან მოდიდდა და ამ სოფლის ვენახების მეოთხედი ნაწილი სულ ერთიანათ წალეკა. საწნახლები თავის ქვევრებიანათ ძირიანათ ამოთხარა და სავსე ქვევრები წყალს მისცა. წისქვილები მოიტაცა თავისი ქვებით, რომლებიც დღესაც ვერ უპოვნიათ. ბოგირები სულ მანგრ-მონგრეა, გზები წაახდინა. ზემოხსენებულ ზეზემანის რკინის გზასაც არ დააყარა ხეირი. გზა სულ მინგრეულ-მონგრეულია, შუაზე დამტვრეული რელსები წყალში ყრია. 60—80 წლის მოხუცები ამბობენ, რომ ჩვენს ხსოვნაში ამნაირი დიდი წყლობა არ გვინახავსო. ყველა ეს უბედურება გვონებთ აუარებელი ტყის გაჩეხვით უნდა აიხსნას. ზარალს დაახლოვებით 6,000 თუმანს ამბობენ, მაგრამ ვინაა მშველელი და დამხმარე? სამაზრო ადმინისტრაცია არავითარ ყურადღებას არ აქცევს სოფლის აუარებელ ზარალს. ორჯერ-სამჯერ ყოფილიყო ბოქაული, მაგრამ მხოლოდ მშვენიერი სადილები მიერთვა და ისე წაბრძანებულიყო.

მგზავრი.

არჩევნების საქმე გურიაში

საარჩევნო კამპანიას უსულ-გულოთ ეკიდება გურიის განაწამები გლეხკაცობა. მათ არ ეტყობა წინანდელი აღფრთოვანება-სიხალისე და მით ჩვენი დუხჭირი ცხოვრების ეს პერიოდიც გამოუცოცხლებლათ მიდის! ყველა რაიონებში ამორჩეულია კომისია, რომელიც ხელმძღვანელობს საარჩევნო კამპანიას. კომისიის ვალდებულებას შეადგენს აგრეთვე ზეპირი თუ მწერლობითი საშუალებით გააცნონ ფართე მასსას წარსული დუმის ცხოვრება. კომისია ასრულებს აგრეთვე პრაქტიკულ, ანუ ტეხნიკურ ვალდებულებასაც.

იმედი გვაქვს ჩვენი კანდიდატები გავიყვანოთ და მით ერთხელ კიდევ დავამტკიცოთ, რომ ხალხი თანაუგრძნობს არა რეაქციას, არამედ განმათავისუფლებელ მოძრაობას.

არჩევნების დღეს, რომელიც დანიშნულია სამაზრო სამმართველოს მიერ დაბა ლანჩხუთში და ჩოხატაურში ათ ან თორმეტ ენკენისთვეს, ხოლო ოზურგეთში საგუბერნიო ამრჩევლების საერთო არჩევნები ოცდაორს, მხურვალე მონაწილეობის მიღებას აპირებენ „ჭეშმარიტ ქართველთა“ წევრები—პატივცემულნი ოზურგეთის რაინდები, მთელი სამაზრო ხულიგანთა კორპორაციის დახმარებით. გაიგზავნებიან საარჩევნო ბრძოლისათვის საგანგებო კომისიები ლანჩხუთში და ჩოხატაურში, რომლებსაც სარდლობას გაუწევენ ადგილობრივი ბოქაულები.

ახალი

საარჩევნო კამპანია.

გაზ. „სტ. უტროს“ სიტყვით, პირველ ცნობებს არჩევნების შესახებ ძალიან შეუფიქრიანებია ბიუროკრატები. შეუშფოთებია ისინი იმას, რომ არჩეულთა შორის ბევრია მემარცხენე. ადგილებიდან პირდაპირ მოსული ცნობები არ ეთანხმება დეპეშათა სააგენტოს ცნობებს.

პირველ არჩევნების შედეგებს ერთიანათ დაურღვევია 3 ივნისის კანონის იმედი, და ბევრი ბიუროკრატთაგანი თურმე შიშობს, ვაი თუ მესამე დუმა უფრო კრამოლნიკურიც კი აღმოჩნდეს, ვინემ მეორე იყოო. ახლა ბიუროკრატები უკვე უკმაყოფილონი არიან 3 ივნისის კანონით და ეს უკმაყოფილება თავს ატყდება უმთავრესათ მინისტრის ამხანაგს კრიჟანოვსკის, რომელსაც უსაყვედურებენ, რომ ის აგერ მეორე დუმას აფუჭებს თავისი მოუფიქრებლობითო.

— ოდესის მაზრაში წვრილ მემამულეთა სიეზდი არ შესდგა, რადგან 1906 ამომრჩეველთაგან გამოცხადებულა მხოლოდ ერთი.

— პოდოლის მაზრის ერთ-ერთ ვოლოსტში ადგილობრივმა სტაროსტამ „რეჩით“ მიმართა ხალხს და არწმუნებდა არჩევნები სულ მეტიაო; ამისათვის იგი გლეხებმა ყრილობიდან გააძევეს.

— კადეტთა პარტიის ცნობებით, პეტერბურგის ხუთ მაზრაში უზრუნველყოფილია კადეტების გამარჯვება ქალაქის მეორე კურიაში. პირველ კურიაში ქალაქების უმეტეს ნაწილში გავლენ უპარტიო პროგრესიული ვიბორშჩიკები. არჩევნების შედეგი საზოგადოთ მემამულეთა სიეზდებზე ერთიანათ დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მოეკიდებიან არჩევნებს წვრილი მემამულენი, რადგან პეტერბურგის გუბერნიის თითქმის ყველა მაზრებში წვრილ მემამულეებს შეუძლიათ თავის რწმუნებულთა რიცხვით გადააჭარბონ მსხვილ მემამულეებს.

— თუ რამდენათ ეთანხმება სინამდვილეს დეპეშათა სააგენტოს მიერ გადმოცემული ცნობები არჩევნების შესახებ, ამას გვიჩვენებს ოქტომბრისტების გაზეთი „გოლოს მოსკვი“. ამ გაზეთიდან ვტყობულობთ, რომ ნიჟნინოვგოროდში მუშების მიერ არჩეული რწმუნებულები, რომლებიც სააგენტომ „უპარტიოებათ“ და „პროგრესისტებათ“ მონათლა, ნამდვილათ სულ „სოციალდემოკრატების მომხრენი“ ყოფილან. ქ. ბოგოროდსკის (მოსკ. გუბ.) ერთ-ერთ დიდ ქარხანაში მუშათა რწმუნებულების არჩევნები მოხდა ადმინისტრაციის ხელმძღვანელობით; ამის მიუხედავათ რწმუნებულებათ, როგორც სხვა ქარხნებშიაც, ამ ქალაქში, არჩეულ იქნენ სულ უკიდურესი მემარცხენენი.

— 5 სექტემბერს მოხდა კიევის ეპარქიის სამღვდელოების სიეზდი საარჩევნო კამპანიის შესახებ მოსალაპარაკებლათ. თავმჯდომარემ ეპისკოპოსმა აგაპიტმა სიეზდის გახსნის დროს თქვა: „მიტროპოლიტის და აგრეთვე ჩემი სურვილია აირჩიოთ ჭეშმარიტი რუსებიო“. რუს. ხალხის კავშირის ლიდერებმა, რომლებიც საგანგებოთ მოწვეული იყვნენ სიეზდზე, ასევე ილაპარაკეს. ორმა მღვდელმა უარი თქვა მათი წინადადების შესრულებაზე და განაცხადეს—სამღვდელოება ასეთი ქცევით გლეხებს აიჯანყებს და სრულიად ძირს გამოუთხრის თავის ავტორიტეტს, რომელიც ისედაც სულ უფრო ეცემაო.

— პოლიციას კიშინიოვში საარჩევნო უწყებათა დარიგების დროს აღმოუჩენია აუარებელი „მკვდრები“ (რომლებისგანაც მეორე დუმის არჩევნების დროს ხმები მიიღეს კრუშევანებმა. მთელ გუბერნიაში მოხდა ვოლოსტის რწმუნებულთა არჩევნები. კიშინიოვის მაზრაში გაუშავებიათ ყველა „მოკავშირენი“ (შავრაზმელები). განსაკუთრებით საგულისხმოთ მიაჩნიათ გამოჩენილ შავრაზმელ დერხანის გაშავება, რომელიც ვოლოსტის მამასახლისათ და სამაზრო ერობის ხმოსნათ არის და რომელიც კრუპენსკის და კრუშევანის მარჯვენა ხელია, და ვიბორშჩიკათ იყო პირველ და მეორე დუმის არჩევნების დროს, რაც შეეხება კიშინიოვის მაზრის წვრილ მემამულეთა არჩევნებს, არჩეულ 15 რწმუნებულთაგან 3 „მოკავშირეა“, დანარჩენები პროგრესისტები და ზომიერებია. არჩევნები მოხდა სტრაჟნიკებისა და პოლიციელების გაძლიერებულ ზედამხედველობის ქვეშ.

რუსეთის ამბები

რევოლიუციის მსხვერპლნი. ცნობილ საზოგადო მოღვაწეს ექიმ უშაკოვს გულდასმით უკრებია და ამ დღეებში გამოუქვეყნებია ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი მსხვერპლი შეუწირავს რუსეთის რევოლიუციას 1905 წლის თებერვლიდან (სამწუხაროთ არა 29 იანვრიდან) 1907 წ. ივნისამდე, ე. ი. სულ 28 თვის განმავლობაში. ამ ცნობების მიხედვით, სიკვდილით დაუსჯიათ სასამართლოს და არა სასამართლოს წესით სულ 2,381 კაცი (ყველაზე მეტი ასეთი სასჯელი მოუწევს 1906 წელს,—სახელდობრ 1662). საველე სასამართლოს სიკვდილათ დაუსჯია 676 კაცი. გაუსამართლებლათ დამსჯელ ექსპედიციას დაუხვრეტია 1,264 კაცი. ყველაზე მეტი რიცხვი სიკვდილით დასჯილთა მოუწევს ბალტიის მხარეს—1,164 კაცი, შემდეგ მიუყვება შიდა გუბერნიები—566, პოლონეთი—305, კავკასია—213, ციმბირი—113 და დასავლეთი გუბერნიები—20. ცალკე ქალაქებს შორის ყველაზე მეტი რიცხვი სიკვდილით დასჯილთა მოუწევს მოსკოვს—281, მერე მიუყვება ვარშავა—157, რიგა—97, მიტავა—95, კრონშტადტი—36, პეტერბურგი—35, თფილისი—31, ლოძი—25. საყურადღებოა, რომ სახელმწიფო დუ-

---

სატუსაღოს უფრო ხოდეს: გერმანიის სოციალდემოკრატია ათჯერ მეტ დევნას და პატიმრობას განიცდის, ვინემ საფრანგეთის სოციალისტები. გერმანიის მთავრობას რომ გულით და სულით სურს რუსეთის ბიუროკრატიას დაეხმაროს, ეს ყველასათვის ცხადია, მაგრამ ამ სურვილს დიდი დაბრკოლებანი ელობებიან წინ. გერმანიის რუსეთის საქმეებში გარევა გამოიწვევს ევროპის საერთო ომს. უკანასკნელს მოყვება ეკონომიური კრიზისი, რადგან წარმოება და მიმოსვლა შეფერხდება. გარედან სანოვაგის შემოუტანლობა გამოიწვევს შიმშილს, ეპიდემიას და სხვას. ასეთ კრიტიკულ წუთში ამბოხების, ჯარის აჯანყების, ან საყოველთაო გაფიცვის გამოცხადება **სასაცილოთ** გაუხდება ჩვენ მტრებს. გერმანიის მთავრობას ყველაზე უფრო ეშინია სოციალდემოკრატიის, რადგან ომი შესაძლებელია სოციალურ რევოლიუციის დასაწყისათ გახდეს და მემკვიდრე ხომ ჩვენა ვართ!

ბებელმა არსებითათ იგივე თქვა, რაც შარშან მანჰეიმის პარტეიტაგზე. მისი ნათქვამი რუსეთის შესახებ რამდენათმე შეასწორა მაშინვე კაუცკიმ „ნ. ც.“-ში; სამწუხაროდ, ბებელს არც კი მიუღია ეს მხედველობაში. შეცდომაა ის აზრი, ვითომ გერმანიის სოციალდემოკრატიას არ შეეძლოს არავითარი საშუალების დასახელება მილიტარიზმის წინააღმდეგ. იენის და მანჰეიმის პარტეიტაგებმა დააკანონეს საყოველთაო გაფიცვა, თუ ვინიცობაა მთავრობა შეეხო რეიხსტაგის საარჩევნო უფლებას. არავინ არ კითხა ბებელს, რა უფრო მნიშვნელოვანია, რეიხსტაგის საარჩევნო უფლების შეხება, თუ გერმანიის ბაშიბუზუკების რუსეთზე გალაშქრება. მუშების გაფიცვები ნებადართულია გერმანიაში და კიდეც ამიტომ ვერ გამოიყენა მთავრობამ საყოველთაო გაფიცვის პარტიისაგან გამოქომაგება საბაბათ. ხალხის ამბოხება და ჯარის აჯანყება ისეთი რამაა, რასაც ვერ ჩასწერს გერმანიის სოციალდემოკრატია თავის ოფიციალურ ტაქტიკაში, მაგრამ საყოველთაო გაფიცვის ლოზუნგათ გამოცხადება მას არ ავნებდა. ეკონომიური კრიზისი მხოლოდ მშვიდობიანობის დროს არის გადუვალი დაბრკოლება გაფიცვების წინააღმდეგ. ომიანობის დროს კი მთავრობა და გაბატონებული კლასები ცდილობენ კრიზისი თავიდან აიშორონ, რომ ომი კარგათ წაიყვანონ. სწორეთ ამ ცდას უნდა გადაეღობოს სოციალდემოკრატია. კიდევ უფრო სამწუხაროა მცხოვან ბელადის მეორე შეცდომა. იგი მავნეთ თვლის საფრანგეთის ჯარის დეზორგანიზაციას, ან უკეთ რომ ვთქვათ, მის რევოლიუციონურ სულით გაჟღენთას. იმის მაგიერ, რომ გერმანიის სოციალდემოკრატია თავის მხრივ შეეცადოს ჯარის გარევოლიუციონერებას, ბებელი ურჩევს ფრანგებს, თქვენი ჯარის დეზორგანიზაცია ნუ გინდათო. ვჩქარობ აქვე აღვნიშნო, რომ ბებელს სახეში ქონდა ჰერვეს ანარქისტული ტაქტიკა, რომელიც მართლაც დასაგმობია. მაგრამ რამდენათაც ჰერვეს აგიტაცია ჯარში უკმაყოფილების სულს ბადებს, იმდენათ იგი მოსაწონია. თვითონ ბებელის რწმუნებით, გერმანიის ექვს მილიონ ჯარის-კაცისაგან, თუ რეზერვიც ზედ მივათვალეთ, **ორი მილიონი ჯარის კაცი სოციალდემოკრატია**,—მაშასადამე, გერმანიის ჯარი თავის „დეზორგანიზაციით „არც ადგილობრივ მყვლეფელთ დააყრის ხეირს, თუ იგი უსამართლო ომში იქნა გაწვეული“.

ჟორეს: გერმანიის სოციალდემოკრატია „არჩევნების და ხმების მანქანაა“, მისი უმოქმედობა მილიტარიზმის წინააღმდეგ ხელს უშლის სხვა სახელმწიფოთა პროლეტარიატის ანტიმილიტარულ აგიტაციას. მას ეშინია სატუსაღოსი. რუსეთის საქმეებში რომ გერმანია გარეულიყო, იგი, ალბათ, თავის „სამ მილიონ ხმის ზნეობრივ ძალას“ დაუპირდაპირებდა ამ რეაქციონურ ნაბიჯს, მეტს არაფერს გააკეთებდა. მე დიდათ ვაფასებ მარქსს, ენგელსს, ბებელს და სხვებს, მაგრამ თქვენ, ბებელო, გადაუდექით მარქსიზმს და რევიზიონიზმს მიეკედლეთ; თქვენ უკუღმა გადაატრიალეთ მანიფესტის სიტყვები და გაიძახით: „პროლეტარნო ყველა ქვეყნისა, ხოცეთ ერთმანეთიო“!

ჰერვეს სიტყვამ ავტორისათვის სასურველი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა მსმენელებზე. ხშირათ აწყვეტინებდენ მას ლაპარაკს ხარხარით. ჰერვემ ვერ ისარგებლა მოხდენილ დროით, თორემ მას შეეძლო გერმანელების პოზიცია შესამჩნევათ შეესუსტებინა. მისმა გადაჭარბებულმა ლანძღვა-გინებამ, განსაკუთრებით ბებელის წინააღმდეგ, რომლის პირადი მამაცობა და თავგანწირულება საქვეყნოთ ცნობილია, სერიოზობის უკანასკნელი ნატამალი ჩამოაცალა მის სიტყვას და გულის-წყრომის მაგიერ სიცილს იწვევდა. ჰერვეს ანტიპატრიოტიზმს და სხვა ორატორების აზრს ამის შესახებ მე შევეხები წერილის ბოლოში.

ჟორესი: მე ამსტერდამში და მას შემდეგაც „მარქსიზმის აქციონის“ მომხრე ვარ არამც თუ პარლამენტში, არამედ მის გარეთაც. თქვენ, გერმანელებო, ცნობილი ხართ ორგანიზაციის საქმეში; თქვენგან ჩვენც ვისწავლეთ და გავერთიანდით კიდეც. რაც შეეხება აქციონს, ე. ი. პროლეტარიატის საომრათ გამოლაშქრებას, ჩვენ, ფრანგებს, უპირატესობა გვაქვს თქვენთან შედარებით, ამ სფერაში თქვენ გმართებთ ჩვენგან ისწავლოთ. ჰერვეს და ჩვენ შორის ისაა საერთო, რომ ორივე მწარე საშუალების დასახელების მომხრე ვართ, მხოლოდ ჰერვეს საშუალება უტოპისტურია და მავნე. ჰერვეს ბებელთანაც აქვს ის საერთო, რომ ორივენი ძალიან აზვიადებენ ჰერვეიზმის მნიშვნელობას საფრანგეთში,—ჰერვეიზმი უკან მიდის და გაქრობაც მოელის მას. მუშათა კლასის ყვლეფა იზრდება. ჩვენ არ ვკმაყოფილდებით მარტო აგიტაციით და პროპაგანდით, ჩვენ გვინდა საქმეში მოვიხმაროთ ჩვენი ძალა, თუ გაბატონებული კლასები არ დაიშლიან და სისხლის ღვრას გამოიწვევენ. ჩვენგან დასახელებული საშუალებანი უტოპიური როდია, ჩვენ შეგვიძლია ისინი საქმეთ ვაქციოთ, თუ მომენტმა მოითხოვა. ბებელი აჭარბებს, როცა ის ფიქრობს, რომ გერმანიის სოციალდემოკრატია განსაცდელში ჩავარდება. სამ მილიონ სულის დამარცხება არავითარ ძალას არ შეუძლია.

ჟორესმა ნანსის კონგრესზედაც გამოთქვა ის აზრი, რომ მილიტარიზმის მოსპობა თვით კაპიტალისტურ ხანაში შესაძლებელია. ამ შეხედულებიდან გამომდინარეობს მისი ტაქტიკა მილიტარიზმის წინააღმდეგ. და თუ მილიტარიზმის მოსპობა ამ ხანაში შეიძლება, მაშინ დღიურ ლოზუნგათ უნდა იქცეს მასთან ბრძოლა და აქედან გამოყოფილ უნდა იქნეს იგი პროლეტარიატის საერთო განმათავისუფლებელ ბრძოლისაგან. ვინც შტუტგარტში ბებელის და ჟორესის გამოსვლას დაესწრო, მას მაშინვე თვალწინ წარმოუდგებოდა ამსტერდამი. იქ ბებელი მემარცხენე იყო, ჟორესი კი მემარჯვენე, შტუტგარტში კი როლები შეიცვალა! მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნულათ. საფრანგეთის პროლეტარიატი არაა ჯერ შეკავშირებული ერთ ძლიერ პარტიათ. მასში მრავალი ერთი-მეორის წინააღმდეგი მიდრეკილებანი სუფევენ. ჟორესიც ამიტომ რამდენათმე უთმობს ჰერვეს ანარქიზმს იმ მხრივ, რომ იგი საშუალებათა შესახებ გამოტანილ რეზოლიუციას გადაჭარბებულ მნიშვნელობას აწერს. მიუხედავათ ამისა, აღსანიშნავათ სასიამოვნოა, რომ ჩვენი დროის „შესანიშნავი ადამიანი და ორატორი“ ადგება მარქსისაგან ნაჩვენებ გზაზე. ჟორესის სიტყვა, და ისიც რევოლიუციონური, მთელი კონგრესის უმშვენიერესი თაიგული იყო.

ფოლმარი: არც ერთ სახელმწიფოს სოციალდემოკრატიაში არა აქვს ისე უმნიშვნელო ადგილი შოვინიზმს და ნაციონალისტურ ცრუმორწმუნეობას, როგორიც სწორეთ გერმანიის სოციალდემოკრატიაში. უკანასკნელი თავგამოდებით ებრძვის მილიტარიზმს და გაცილებით მეტს აკეთებს ამ მხრივ, ვინემ სხვები. ჩვენ წინააღმდეგი ვართ ბაქიობის და ანარქისტულ ტაქტიკის. ჩვენ არ გვინდა ერთ წუთსაც დავივიწყოთ მილიტარიზმის და კაპიტალიზმის შორის მჭიდრო კავშირი. სხვა სახელმწიფოთა პარტიებს ჩვენ ვერ დავუთმობთ, რომ ისინი ჩვენ მოქმედებას ტაქტიკას გვიკარნახებდენ. ჩვენ ვიქცევით ადგილის და დროის შესა-

მის მოახლოვებისათანავე სიკვდილით დასჯილთა რიცხვი მეტად კლებულობს; პირველ დუმის არსებობის დროს სიკვდილით დასჯილთა რიცხვი 295-იდან (თებერვალში) ჩამოსულა 7-ზე (ივნისში); დაახლოვებით ასე ყოფილა მეორე დუმის არსებობის დროსაც. სამაგიეროთ, მეტის-მეტათ მატულობს ეს რიცხვი დუმის შემდეგ: მაგ., პირველ დუმის შემდეგ, ნოემბერში. ეს რიცხვი უდრის 220-ს. 28 თვის განმავლობაში პოგრომებისაგან დაზარალებულა 32,086 კაცი, აქედან მოკლულია—15,393 და დაჭრილი 16,693. ყველაზე მეტი ხალხი დაზარალებულა ჯარისა და პოლიციისაგან—12,953 მოკლული და დაჭრილი. ებრაელთა აკლებისაგან დაზარალებულია 7,969 კაცი; სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტის დროს—4,540 კაცი, შავრაზმელ პოგრომებისაგან—2,778 კაცი. ჯარისა და ფლოტის აჯანყების დროს დაღუპულა და დაჭრილა 2,193 კ. პოგრომებისაგან დაზარალებულთა რიცხვი ყველაზე მეტი მოუწევს რუსეთს—16,132, კავკასიას—5,893, დასავლეთ გუბერნიებს—2,546 კ., პოლონეთს—1,637, ციმბირს—2,111 კ. ქალაქებში ყველაზე უფრო დაზარალებულა პოგრომებისაგან ოდესა—4,586 კ., შემდეგ როსტოვი—2,099, მოსკოვი—1,856 (შეიარაღებული აჯანყების დროს), ტომსკი—1,245 (შავრაზმელთა პოგრომი). ყველაზე მეტი რიცხვი პოგრომებისაგან დაზარალებულთა მოუწევს 1905 წ. ოქტომბრის „თავისუფლების“ დღეებს—11,147 ანუ ყველა დაზარალებულთა ერთ მესამედზე მეტი. პოგრომების შესახებაც შენიშნულია მათი გაძლიერება დუმიდან დუმამდე და აშკარა შესუსტება დუმის არსებობის დროს. მთავრობის და კაპიტალის წარმომადგენელთა მოკვლის და დაჭრის რიცხვი იმავე ხნის (28 თვის) განმავლობაში უდრის: 8,203-ს. დაზარალებულთა შორის იყო: მინისტრი და სახ. საბჭოს წევრი—4, გენ.-გუბერნატორი, გუბერნატორი და გენერალი—83, პოლიცმეისტერი და მისი თანაშემწე—61, ისპრავნიკი, პრისტავი და სხვა პოლიციელი მოხელე—538, გოროდოვოი—656, ოფიცერი—245; სალდათი, კაზაკი მატროსი—793, „ოხრანის“ მოხელე და ჟანდარმი—55, ჯაშუში—292, ურიადნიკი, სტრაჟნიკი და სტოროჟი—879, პედაგოგი—81, სასამართლოს წარმომადგენელი—35, ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე—137, რკინის გზის მოსამსახურე—253, სხვადასხვა უწყების მოხელე—357, სამღვდელოების წარმომადგენელი—114, სოფლის მთავრობის წარმომადგენელი—89, მექარხნე და ქარხნის მოსამსახურე—226, ვაჭარი და სახლის პატრონი—731, მემამულე, მოურავი და მოიჯარადრე—422, ექიმი—19, მოსწავლე—20. ყველაზე უფრო ბევრი დაზარალებულა სტრაჟნიკ-ურიადნიკთაგან—879. ყველაზე მეტი რიცხვი დაზარალებულებისა მთავრობის და კაპიტალის მხრივ მოუწევს შიდა გუბერნიებს—2,080, შემდეგ მისდევს პოლონეთი—1,422, კავკასია—936, ბალტიის გუბ.—455, დასავლეთ გუბ.—422 და ციმბირი—264. ქალაქებში ამ მხრივ ყველაზე მეტი რიცხვი მოუწევს ვარშავას—855, შემდეგ თბილისს—517, ლოძს—334, პეტერბურგს—318, მოსკოვს—264 და სხ. პირველ დუმის არსებობის დროს ტერორის მსხვერპლთა რიცხვი 2—3-ჯერ იკლო. მეორე დუმის არსებობის დროს კი, პირიქით, ასეთ მსხვერპლთა რიცხვმა იმატა 444-დან (თებერვალში) 611-მდე (მაისში). საერთო რიცხვი რევოლიუციის მსხვერპლთა უდრის—44,020. და ეს მხოლოდ 28 თვის განმავლობაში; აქ ნაანგარიშევი არ არის 9 იანვრის აყარებული მსხვერპლი და არც ამ წლის ივნისის შემდეგ დაზარალებულნი.

ლატიშთა რესპუბლიკის საქმე. ქ. რიგაში 5 სექტემბერს დროებით სამხედრო სასამართლომ განჩინება გამოიტანა კენკაუზენის ვოლოსტის აჯანყების საქმის თაობაზე, სადაც გამოცხადებულ იქნა ლატიშთა რესპუბლიკა. 54 ბრალდებულთაგან 22-ს მიესაჯა სიკვდილით დასჯა, 3-ს უვადო კატორგა, 15-ს ვადიანი კატორგა 4-დან 20 წლამდე, 6-ს გადასახლება, 12 კაცი გამართლებულ იქნა.

ბერ-მონაზონ ილიოდორეს რუსის ხალხის კავშირში განცხადება შეუტანია, რომ ის სრულიად თავს ანებებს ყოველგვარ პოლიტიკურ მოქმედებას და დიდი ხნით პოჩაევის მონასტერში მიდის. თავის წერილში ილიოდორე მოტევებას თხოვს გრინგმუტს, პურიშკევიჩს და დუბროვინს მოუფიქრებლათ მათი მოქმედების გაკიცხვისათვის.

ახირებული დეპუტატი. ვიატკაში დადის თურმე ვიღაც შუახნის კაცი დაფლეთილ კაბით და დაჭმუჭნილ, მტვრიან შლიაპით. ის აჩერებს გამვლელთ და ეუბნება: „არ შეიძლება ცოტაოდენი რამე აჩუქოთ პირველ დუმის დეპუტატს ნამყოფს მღვდელს ოგნევსო“! გამვლელები არ უჯერებენ მას, მაგრამ ის თავისას არ იშლის თურმე და გაიძახის—ოგნევი ვარო.

მუშათა შორის.

დიდი წვალების შემდეგ, პეტერბურგის ბალტიის ზავოდის მუშები, როგორც იქნა ეღირსნენ ნებართვას, დაეარსებიათ საზოგადოება „მეცნიერება და ცხოვრება“. მაგრამ რა გამოვიდა? ძლივს ერთი ლექციის გამართვა მოხერხდა და მას შემდეგ, თუმცა თხოვნას თხოვნაზე აძლევენ ახალ ლექციების გამართვის შესახებ, მაგრამ რამდენი თხოვნაა უარიც იმდენი, და მთხოვნელები მარტო მარკების ხარჯებს ვერ ასდიან.

— პროფესიონ. კავშირების სრულიად რუსეთის სიეზდის საორგანიზაციო კომისიის ცნობები მიდის, რომ სიეზდისათვის მზადება ადგილებზე ჯერ მხოლოდ იწყება. ინტერესი სიეზდისადმი მხოლოდ ახლა ღვიძებს; ამასთან უფრო ცხოვლათ ეწევიან სამზადისს ყველაზე უფრო მიყრუებული კუთხეები, რომლებიც მოწყვეტილი არიან საზოგადო ცხოვრებას და ყველაზე უფრო საჭიროებენ დახმარებას.

— რუსის ხალხის კავშირის მუშათა ჯგუფმა პეტერბურგის მხრის ფაბრიკა-ზავოდებში გაკრა მოწოდება ყველა მუშების მიმართ, რომელიც შედგენილია ჩვეულებრივი შავრაზმული სიტყვებით. მოწოდებაში, სხვათა შორის, ყოველგვარ უბედურების მიზეზათ გამოყვანილი არიან „სოციალდემოკრატები, სოც.-რევ.-ები და სხვა ინოროდცები“. შემდეგ „მოკავშირენი“ აფრთხილებენ მუშებს, არ შეხვიდეთ პროფ. კავშირებშიო და მოიწოდებენ მათ—შემოუერთდით ჩვენს—რუსეთის ჭეშმარიტ შვილების რაზმსო.

— პეტერბურგის მხრის ფაბრიკა-ზავოდების უმუშევარ მუშათა კრებამ განიხილა კითხვა იმის შესახებ, თუ რა ზომები უნდა იქნას მიღებული „მახაევცების“ (დემაგოგ-პროვოკატორების) გავლენის წინააღმდეგ, რომელიც გავრცელებულია ამ ჟამათ მუშათა მასსაზე საზოგადოთ, და უმუშევარ მუშებზე კერძოთ. კრებამ შემდეგი რეზოლიუცია მიიღო: „ვიღებთ რა მხედველობაში, რომ „რაბოჩი ზაგოვორი“ (მახაევცების ორგანიზაცია), სარგებლობს-რა უმუშევართა აუტანელ მდგომარეობით, ერევა ამ უკანასკნელთ პროვოკაციის და ანარქიის გზაზე, რომ „რაბოჩი ზაგოვორი“ თვით თავისი არსებით არის მუშათა მოძრაობის პროგრესისათვის მავნებელი ორგანიზაცია;—კრება თავის გულისწყრომას უცხადებს „რაბოჩი ზაგოვორის“ მოქმედებას და ურჩევს შეგნებულ მუშებს ებრძოლან მას გავლენას მშრომელთა მასსაზე“. გადაწყდა, რომ ეს რეზოლიუცია დაიბეჭდოს და დაურიგდეს გამოსაქვეყნებლათ ყველა ფაბრიკა-ზავოდებს და სახელოსნოებს.

— ჟურნალის „ვაზნ ვესტნიკის“ ახლათ გამოსულ ნომერში დაბეჭდილი მეთაური აღნიშნავს იმ აუტანელ უფულობას, რომელიც ბეჭდვითი საქმის მუშათა საზოგადოებას დაღუპვას უქადის. უფულობასთან საბრძოლველათ, წერილი ურჩევს მუშებს ნუ იკმარებენ მარტო ორგანიზაციულ და კანცელიარულ გაუმჯობესებას საქმისას, არამედ ამასთან შეიცვალონ ტაქტიკაც. საქმე იმაშია, რომ ბეჭდვითი საქმის მუშათა შორის ხშირათ სულ უბრალო მიზეზების გამო თავს იჩენს ხოლმე გაფიცვის გამართვის მეჩქარე სურვილი, რომელთანაც ხან და ხან გამგეობაც ვერარას ხდება. პარტიზანულ გაფიცვების ფართოთ განვითარებულ ტაქტიკას ამ ჟამათ ხშირათ არა-სასურველი შედეგები მოსდევს, და ამას გარდა, კასასაც მეტათ ათხელებს. აუცილებლათ საჭიროა ბოლო მოუღოს ასეთ გაფიცვებს და ამასთან შეუმცირდეთ დახმარება კასისაგან გაფიცულთ და უმუშევართ.

დეპეშები

(პეტერბურგის დეპ. სააგ.).

11 სექტემბერი.

არჩევნები

ვიტებსკი. აირჩიეს 194 რწმუნებული. 8 მონარ. 49 უპარტიო, 8 დატ. ნაციონალისტი, 9 მემარცხენე, 2 უკიდურესი მემარცხენე. 28 ვინაობა არ იციან.

ჟიტომირი. აირჩიეს 244 რწმუნებული მიწათ მფლობელთაგან. რა პარტიას ეკუთვნიან არ იციან.

პეტერბურგი. გამოქვეყნდა არჩევნების წეს-რიგი: პეტერბურგში, მოსკოვში, კიევში, ოდესაში და რიგაში.

კიშინევი. 11 საზოგადოებამ აირჩია 22 რწმუნებული. ყველანი უპარტიონი.

ყაზანი. აირჩიეს 66 სოფ. რწმუნებული. 3. კად. 38 უპარტიო მემარჯვენე, 10 მონ. ერთი მემარცხენე.

ლიუბლინი. აირჩიეს 172 რწმუნებული მიწათ-მფლობელი, 2 ოქტ. 52 ნაროდ., 33 უპარტ., 9 ზომიერი.

ტამბოვი. შვიდ მაზრაში არჩეულ იქნა 524 სოფლის რწმუნებული, ამათგან 316 თავის თავს მემარჯვენეს უწოდებს, 57 უპარტიო მემარჯვენეს, 56 ზომიერს, 45 მემარცხენეს, 49 უპარტიოს.

სევასტოპოლი. პოპოვიჩის სახლში აღმოაჩინეს 30 ყუმბარა და ასაფეთქ. მასალები და რევოლვერები. დაიჭირეს 2 კაცი.

ვარშავა. დაიჭირეს სოფლის მასწავლებელი, რომელიც ხელმძღვანელობდა პ. ს. პარტიის სამხედრო ორგანიზაციას.

პოლტავა. რომნაში დაიწვა სამხედრო საქონლის საწყობი. ზარალი 100,000 მანეთზე მეტია. ცეცხლი განგებ გაჩენილი უნდა იყოს.

გროდნო. სოფელ კალიდაში დაიწვა 117 მოსახლე. ზარალი დიდია.

პეტერბურგი. სიმბირსკს, მიშკინსა და სიზრანში თოვლი მოვიდა.

გელსინგფორსი. სეიმის კომისია შეუდგა 20 მილიონი მარკა სამხედრო დახმარების საკითხის განხილვას.

პენზა. გაძარცვეს მოკშანის მაზრის დამხმარებელთა ამხანაგობა. წაიღეს 2782 მან.

პოლტავა. სოფ. ვაიკოვცაში გაძარცვეს კაზაკი პერეტიატკის სახლი. წაიღეს 7395 მანეთი.

ბათუმი. 10 ენკენისთვეს იმპერიალის მახლობლათ მოკლეს გენ.-გუბ. (გუბერნ.) ალი-ბეი. მკვლელები მიიმალნენ.

სევასტოპოლი. დაატუსაღეს ს. რ. მებრძოლი რაზმის წევრები. ბინაზე აღმოაჩინდა სამხედრო ლიტერატურის საწყობი.

საზღვაო სამხედრო სასამართლოში ირჩევა საქმე დეკემბრის აჯანყებაში მონაწილე მატროსების.

პერემიშლი. მემამულეთა სახლკარს ცეცხლი გაუჩინეს: სოფ. კამენკაში სუბოტინისას, სოფ. ანატოფკეში—კამკინისასა, სოფ. კუროვსკაში—რიხტერისას.

პეტერბურგი. ბათუმში ვანის გენერალ-გუბერნატორი ალი-ბეის მოკვლის გამო გარეშე საქმეთა სამინისტროს გამგემ მწუხარება გამოუცხადა ოსმალეთის ელჩს და აგრეთვე მიანდო სტამბოლის საიმპერატორო ელჩს, ასეთივე თანაგრძნობა გამოუცხადონ პორტას სამწუხარო ამბის გამო.

პეტერბურგი. საერობო მეურნეობის განყოფილების გამგე ლიუბიმ-იარმოლოვიჩ ლოზინო-ლოზინსკი ინიშნება თფილისის გუბერნატორათ.

ტაშკენტი. საფოსტო მატარებელში გაძარცვეს არტელშჩიკი. წაიღეს 11000 მანეთი. მგზავრებმა სროლა აუტეხეს და დასჭრეს მძარცველები.

ხოლერა.

ომსკი. 3 დღის განმავლობაში ხოლერით ავათ გახდა 24, მოკვდა 17 კაცი.

ნიჟნი-ნოვგოროდი. ხოლერის გაჩენიდან ავათ გახდა 319—მოკვდა 144 კაცი.

სამარა. ხოლერის გაჩენიდან ქალაქში ავათ გახდა 339, მოკვდა 171 კაცი, ხოლო გუბერნიაში ავათ გახდა 335—მოკვდა 186.

„ჩვენი გზის“ ფოსტა

ძირულა, ე. გელაშვილს—მიღებულია 2 მ. და 90 კ.

ბაქო, ბ. მეფარიშვილს—არ მიგვიღია, ალბათ ფოსტა უკანვე დაგიბრუნებსთ.

რედაქტორ-გამომცემელი
ს. ჩხარტიშვილისა.

განცხადებანი

ბ. არშაკ ბელიოზოვს.

რადგან ჩვენ ერთმანეთ შორის უთანხმოების შესახებ არავითარი სამედიატორო სამართალი არ დაგვიდგენია და მაშასადამე, არც დამირღვევია, ამისათვის თანახმა ვარ სამედიატორო სამართლისა.

ჩემის მხრით ვასახელებ ი. მირზაშვილს და პ. გიკაურს.

(1—ფ.—1) სიკო ნაბიჭვრიშვილი

ფერათ. ანტიმილიტარისტული პროპაგანდა მავნეა. ჟორეს-ვაიანის რეზოლიუციას ანარქისტული სული უდის. ჩვენ უარსვყოფთ სამხედრო და საყოველთაო გაფიცვას ომის დროს, რადგან ისინი უტოპიური საშუალებანი არიან.

ფოლმარი მთელს გერმანიაში ცნობილია, როგორც თავდაჭერილი და დარბაისელი ორატორი. შტუტგარტში კი სულ სხვა გვარი იყო მისი გამოსვლა, რამაც თითონ მისი მეგობრებიც ძალიან დააღონა. მას ეტყობოდა აღელვება, თუმცა ზეჯითათ ირწმუნებოდა ძალიან დინჯათ ვილაპარაკებო. ის რაღაც ამაყობით და მკვახეთ მოეპყრა გარეშე სახელმწიფოთა პარტიებს, თითქო ისინი მტერი ყოფილიყვნენ. მიზეზი უეჭველათ ჰერვე უნდა ყოფილიყო, რომელმაც ყველასათვის მოულოდნელათ ააბობოქრა ფოლმარი. მისი სიტყვა სულ სხვაგვარათ ხსნიდა ბებელის რეზოლიუციას. უკანასნელი, თუმცა არ ასახელებს ზომებს, მაგრამ კრინტსაც არა სძრავს მათ წინააღმდეგ. ფოლმარის ახსნით კი გამოდიოდა, რომ ბებელის რეზოლიუცია გადაჭრით წინააღმდეგი გამოდიოდა ამა თუ იმ ზომის, მაგალითათ, საყოველთაო გაფიცვის.

ამის შემდეგ, რასაკვირველია, დანარჩენი ორატორები ბებელის რეზოლიუციას წინანდელზე უფრო სასტიკათ მოეპყრენ. ფრიად შინაარსიანი სიტყვა წარმოთქვა ავსტრიელმა ვიქტორ ადლერმა. მან, ერთის მხრით, დაიცვა გერმანიის სოციალდემოკრატია უსამართლო საყვედურებისაგან, მაგრამ იმავე დროს ცხარეთ გამოეკამათა ფოლმარს, რომელმაც ბებელის რეზოლიუცია „უკუღმა წაიკითხა“. მისი აზრით, საშუალებანი არ უნდა ყოფილიყვნენ დასახელებული, მაგრამ რომელიმე მათგანის უკუგდება შეუწყნარებელია. ადლერზე უწინ ბელგიელმა შემოიტანა ბებელის რეზოლიუციის დამატება, რომელიც პირდაპირ აღიარებს საშუალებათა ჩამოთვლის შეუძლებლობას, მაგრამ არც რომელიმე მათგანს უარყოფს.

ბოლოს შემოვიდა ლენინისაგან, მარტოვისაგან და როზა ლუქსემბურგისგან ხელმოწერილი დამატება ბებელის რეზოლიუციის, რომელიც მოწინააღმდეგეთა შეთანხმების ხიდათ იქცა. იგი უფრო ამკაცრებს ბებელის რეზოლიუციას და მასთან რამდენიმე ახალ აზრს დასძენს მას. აი უმთავრესი მათგანი: „სოციალისტური პარტიები უნდა ცდილობდენ, რომ მოზარდი თაობა ანტიმილიტარიზმის კლასობრივ ნიადაგზე აღიზარდოს, და მით საშუალება გამოაცალონ გაბატონებულ კლასებს, შეიარაღებული პროლეტარნი უიარაღო პროლეტარებს წაუსიონ. იგი არ ასახელებს რომელიმე საშუალებას ომის წინააღმდეგ, მაგრამ გადაჭრით ავალებს სოციალისტურ პარტიებს მიიღონ ყოველი საშუალებანი, რომლითაც შესაფერით მიიჩნევენ ისინი ადგილის და დროის მიხედვით ომის ჩასაშლელათ, და რომელნიც კლასობრივი ბრძოლის გამწვავების მიხედვით თანდათან იცვლებიან და მკაცრდებიან ხოლმე. ამას გარდა ომისგან გამოწვეულ ეკონომიურ და პოლიტიკურ კრიზისით უნდა ისარგებლონ მათ ხალხის გამოსაფხიზლებლათ და აქედან კაპიტალისტურ წესწყობილების დამხობის დასაჩქარებლათ.

მე არ ვეხები ვაიანის, ვანდერველდეს, კოსტას, რ. ლუქსემბურგის და სხვების სიტყვებს, რომელნიც ახალს არაფერს გვეუბნებიან. ყველა უმთავრესი ორატორები, მიუხედავათ კამათის გამწვავებისა, ერთხმათ გამოთქვამდენ თავიანთ გულწრფელ სურვილს, რომ საერთო შეთანხმება მიღებული ყოფილიყო. მესამე და მეოთხე დღეს შფოთი და გამწვავება თანდათან შესუსტდა და ყველას იმედი მიეცა, რომ მტრების გულისწადილი გაცრუვდებოდა და ინტერნაციონალი გამარჯვებული გამოვიდოდა. მართლაც, პირველ დღეს თითოეული დელეგაცია ცოტათ თუ ბევრათ დარწმუნებული იყო, რომ მისი შეხედულება შეურიგებელია სხვების შეხედულებასთან. ამიტომ თავდაპირველათ შეჯახება აუცილებელი იყო. მაგრამ, როცა მათ სავსებით გამოთქვეს თავიანთი გულის ნადები, ცხადათ გამოირკვა, რომ ისინი არც ისე შორს დგანან ერთმანეთზე, როგორც მათ ეჩვენებოდათ.

ბებელის წინადადებით დიდმა კომისიამ აირჩია მცირე კომისია, 15 წევრისაგან შემდგარი. მისი მოვალეობა იმაში მდგომარეობდა, რომ სხდომაზე წარმოდგენილი მიდრეკილებანი ერთმანეთთან შეეთანხმებია და ერთი რეზოლიუცია შეემუშავებია, რომელსაც ყველა უნდა შემოეკრიბა გარშემო. ეს მიზანი კიდეც იქნა მიღებული. მცირე კომისიისგან შემუშავებული რეზოლიუცია ერთხმათ იქნა მიღებული დიდ კომისიისაგან. ეს ამბავი ელვასავით მოედო მთელ ქალაქს და მაშინვე დეპეშით ემცნო მთელს ქვეყანას.

პროლეტარიატი, ეს თანამედროვე კაცობრიობის ბურჯი, **ერთი მთელია**,—ასე ამბობდა თავის ცეცხლ-ფრქვევ სიტყვაში კონგრესის უკანასკნელ საერთო კრებაზე სამხედრო კომისიის მომხსენებელი ვანდერველდე. დამსწრეთა აღტაცებას საზღვარი არ ქონდა, როცა მას ოფიციალურათ ემცნო ტრიბუნიდან, კომისიისაგან რეზოლიუციის **ერთხმათ** მიღება.

თავმჯდომარე ზინგერი წინადადებას აძლევს კონგრესს რეზოლიუცია უკამათოთ ერთხმათ იქნას მიღებული. დარბაზმა თანხმობის ნიშნათ იგრიალა. მხოლოდ ერთად-ერთ ჰერვემ უკმაყოფილება გამოაცხადა და ამიტომ სიტყვაც მიეცა მას. იგი უნდობლობას უცხადებს გერმანიის სოციალდემოკრატიას და მოსთხოვს მის ბელადებს კონგრესის ტრიბუნიდან განაცხადონ, რომ ისინი „ნამდვილათ“ ეთანხმებიან კომისიის რეზოლიუციას! (გაისმის სიცილი). ჰერვეს შემდეგ არავინ ისურვა სიტყვა. ამიტომ ეყარა კენჭი რეზოლიუციას. იგი იქნა მიღებული **ერთ ხმათ**. იწყება ტაშის ცემა და სხვა და სხვა ენაზე „ურას“ ძახილი. ბურჟუაზიის პრესის წარმომადგენელთ დაღრეჯილობა ეტყობათ. აქვე მომყავს რეზოლიუცია სავსებით.

მილიტარიზმი და საერთაშორისო კონფლიქტები.

„კონგრესი ადასტურებს წინანდელ საერთაშორისო კონგრესების რეზოლიუციებს მილიტარიზმის და იმპერიალიზმის წინააღმდეგ, და აღიარებს ის ხელახლავ, რომ ბრძოლა მილიტარიზმის წინააღმდეგ შეუძლებელია გამოყოფილ იქნას სოციალისტურ კლასობრივ ბრძოლისაგან საერთოთ.

კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის ომები არიან ჩვეულებრივ მსოფლიო ბაზარზე მათ შორის მეტოქეობის შედეგი, რადგან თითოეული სახელმწიფო მოწადინებულია არამც თუ უზრუნველყოს საკუთარი გასაღებელი ადგილები, არამედ აგრეთვე ახლებიც დაიპყრას, რის გამო უცხო ხალხთა დამონავება და მიწების ტაცება მთავარ როლს თამაშობს. ეს ომები მომდინარეობენ აგრეთვე შეიარაღების შეუჩერებელ და გამოჯიბრებულ გადიდებისაგან განსამტკიცებლათ მილიტარიზმისა, რომელიც არის ბურჟუაზიულ კლასობრივ ბატონობის და მუშათა კლასის ეკონომიურ და პოლიტიკურ მონობის უმთავრესი იარაღი.

ომებს ხელს უწყობს კულტურულ ერთა შორის არსებული ურთიერთი ცრუმორწმუნოება, ე. ი. უნდობლობა, რომელსაც სისტემატიურათ აღვიძებენ გაბატონებული კლასები, რომ ამით პროლეტარული მასსა ჩამოაშორონ საკუთარ კლასობრივ დანიშნულებას და მოვალეობას საერთაშორისო კლასობრივ სოლიდარობისადმი.

ამ გვარათ, ომები სძევენ კაპიტალიზმის არსებობაში. ისინი მოისპობიან მაშინ, როცა თვით კაპიტალისტურ წეს-წყობილება მოისპობა, ან როცა სამხედრო ტეხნიკის განვითარების მეოხებით საჭირო მსხვერპლისგან—ადამიანით თუ ფულით—და დაუსრულებელ მზადებისგან გამოწვეული შეძრწუნება აიძულებს ერებს მოსპონ ეს სისტემა.

განსაკუთრებით მუშათა კლასი, რომლის წრიდან გამოდიან უმთავრესათ ჯარის-კაცნი და რომელსაც აწევს უმთავრესათ ნივთიერი ხარჯები, არის ომების ბუნებრივი მტერი, რადგან ისინი ეწინააღმდეგებიან მის მიზანს: სოციალისტურ საფუძველზე დამყარებულ ეკონომიურ წეს-წყობილების შემოღებას, რომელიც ერთა შორის სოლიდარობას განახორციელებს.

კონგრესი ცნობს ამიტომ მშრომელ კლასის და პარლამენტებში მის წარმომადგენელთა მოვალეობათ, რომ მათ, ბურჟუაზიულ საზოგადოების კლასობრივ ხასიათის და ეროვნულ განხეთქილებათა შენარჩუნების მუდმივ მეღავნებისათანავე, მთელი თავიანთ ძალ-ღონით ებრძოლონ სამხედრო მზადებას ზღვაზე და ხმელეთზე და უკუაგდონ საშუალებანი ამ მიზნისთვის (სამხედრო ბიუჯეტი); აგრეთვე უნდა ეცადონ მათ, რომ მუშათა კლასის ახალგაზრდობა აღზრდილ იქნას ერთა შორის ძმობის და სოციალიზმის საფუძველზე, და გაჟღენთილ იქნას იგი კლასობრივი შეგნებით“. ა. ჩ.

(დასასრული იქნება).

ელექტრომბეჭდავი ამხ. „სორაპანი“ მადათოვის კუნძული, სახლი მეხრახსკის № 1.